პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

ფასი 10 კაპ.

ოთხშაბათი, 10 მარტი 1937 წ. № 56 (4857)

საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კ-ის და ცაკის ორგანო

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს გაზეთში:

- — ბოლშევიკური ხელმძღვანელობის დედაარსი („პრავდის" მოწინავე)
- — გულადი ბურიატ-მონღოლელი ქალების მიმართვა ამხანაგებს სტალინს, მოლოტოვს, ვოროშილოვს, კოსარევს
- — საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებანი შინაპარტიული დემოკრატიის შემდგომი გაშლის პროგრამაა.
- — ს. მინდაძე — კასპის ცემენტი (ფელეტონი)
- — ი. კვირიკაძე — ალკვეთოთ ცრუმეცნიერება (ფელეტონი)

უცხოეთში:

- — ჩაურევლობის კომიტეტის ქვეკომისიის სხდომაზე
- — ესპანეთის კომპარტიის ც. კ-ის პლენუმი
- — იტალიელი ჯარების შეგროვება გენ. ფრანკოს დასახმარებლად

ბოლშევიკური ხელმძღვანელობის დედაარსი

ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში მძაფრი მობრუნება ხდება. ახალი კონსტიტუცია იწვევს მშრომელთა პოლიტიკური აქტივობის შემდგომ გაძლიერებას, საბჭოთა დემოკრატიის კიდევ უფრო გაფურჩქვნას, მოსახლეობის ახალი ფენები ხდებიან სახელმწიფოს მართვა-გამგეობის თანაზიარნი. როგორც არასოდეს, გაიზარდა როლი ჩვენი პარტიისა, რომელიც მოწოდებულია სათავეში ჩაუდგეს ამ მობრუნებას და უზრუნველჰყოს თავისი ხელმძღვანელობა ჩვენი ქვეყნის უზენაესი ორგანოების მომავალ არჩევნებში. პარტიის პარტიულ-პოლიტიკურ მუშაობას მასებში ამჟამად ახალი, სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. დადგა დრო გამოვიჩინოთ ბოლშევიკური პროპაგანდის, აგიტაციისა და ორგანიზატორული საქმიანობის ნამდვილი ხელოვნება.

მთელი პირდაპირობით უნდა ითქვას, რომ ყველა პარტიულ ორგანიზაციას როდი აქვს მკაფიოდ შეგნებული თავისი ამოცანები. მაგალითებისათვის შორს წასვლა არ მოგვიხდება. პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა აღნიშნა ფაქტები პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის აშკარა მივიწყებისა აზოვ-შავი ზღვის სამხარეო კომიტეტში, კიევის ოლქკომში, უკრაინის კ.პ. (ბ) ც. კ-ში და სხვა პარტიულ ორგანიზაციებში. მეურნეობის ცალმხრივმა გატაცებამ, მაშინ როდესაც პარტიულ-პოლიტიკურ საკითხებს უყურადღებოდ სტოვებდნენ, შეასუსტა ჩვენი ორგანიზაციების კავშირურთიერთობა მასებთან. ადამიანებმა იწყეს თავის დამშვიდება წარმატებებით, ეს წარმოშობდა დოყლაპიობას, ბაქიობას და იდიოტურ ავადმყოფობას— უდარდელობას.

საჭიროა, რათა უკლებლივ ყველა კომუნისტმა შეიგნოს ახლანდელი მომენტის თავისებურება, შეიგნოს ჩვენი პარტიული ორგანიზაციების მიერ დაშვებული შეცდომების არსი და გარდაიქმნან ახლებურად. ჩვენ, კომუნისტები, — მოქმედების, რევოლუციური ბრძოლის ადამიანები ვართ, ჩვენ გაკვეთილებს ვღებულობთ იმისათვის, რომ შეცდომები არ გავიმეოროთ.

საიდუმლოებას არ შეადგენს, რომ პარტიული კომიტეტების ბევრი მდივანი უფრო წააგავდა ინჟინრებს, აგრონომებს, ბუხჰალტრებს, მათ დაავიწყდათ, რომ ისინი მეთაურობენ პარტიულ ორგანიზაციებს, რომელთა ამოცანაა წარმართონ საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციები, ხელმძღვანელობა გაუწიონ მათ. დაავიწყდათ, რომ ისინი უნდა იყვნენ მასების პოლიტიკური წინამძღოლები, რომელთაც უნდა შესწევდეთ უნარი დროზე გამოიცნონ და გამოააშკარაონ მტერი.

განა საჭიროა იმის მტკიცება, რომ სამეურნეო მუშაობით გატაცება და პარტიულ-პოლიტიკური საკითხების მივიწყება — ჩვენთვის დამღუპველი საქმეა. რაკი პარტიული ორგანიზაცია საწარმოო-ტექნიკურ ორგანიზაციად იქცევა, იგი ჰკარგავს სწორ პოლიტიკურ ორიენტირებას, კომუნისტები ივიწყებენ კაპიტალისტურ გარემოცვას, მტრებს, ხდებიან მესაქმენი, რომელნიც თავის ცხვირს იქით ვერაფერს ხედავენ. ასეთი კომუნისტების წარმოდგენაში არსებობენ უმთავრესად მხოლოდ მანქანები, ტარა, სათადარიგო ნაწილები, ხელშეკრულებანი, გაანგარიშებანი და უყურადღებოდ რჩება ყველაზე მთავარი — ადამიანები, მშრომელები, რომელთა პოლიტიკური ორგანიზატორები და ხელმძღვანელები ისინი ვალდებული არიან იყვნენ.

ასეთი უკიდურესობანი ჩვენ არ გვჭირდება. ისინი ეწინააღმდეგებიან ლენინ-სტალინის მოძღვრებას. არ შეიძლება დაუპირდაპირო პარტიული მუშაობა სამეურნეოს და თავით ფეხებამდე მხოლოდ ერთ მათგანში ჩაეფლო. არ შეიძლება დაივიწყო არც ერთი, არც მეორე.

ამავე დროს კი უკვე გვაქვს იმის სიმპტომები, რომ ზოგიერთ პარტიულ ორგანიზაციას შეუძლია გადაქანდეს მეორე მხარეზე და თავი დაანებოს სამეურნეო საკითხებს. უკვე არის ლაპარაკი იმაზე, რომ „ახლა უფრო ადვილი იქნება", „მოხსნილია მრავალი მოვალეობა", „თესვაზე ახლა არ ვმუშაობთ" და სხვ.

ასეთი განწყობილებანი ისევე დამღუპველია პარტიისათვის, როგორც პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის უგულებელყოფა, მარტო სამეურნეო საქმეებით გატაცება. ეს ბოლომდე უნდა შევიგნოთ, ვინაიდან თუ ასეთ განწყობილებებს რამდენადმე მაინც ფართო გასავალი ექნება, განსაკუთრებით ახლა, როდესაც ჩვენი ქვეყანა საგაზაფხულო თესვის წინ იმყოფება, — ჩვენი სამეურნეო მშენებლობა საგრძნობლად დაზარალდება.

საიდან გაჩნდა ასეთი განწყობილებანი? ისინი შედეგია იმისა, რომ ჯერ კიდევ მრავალ კომუნისტს, მათ შორის ხელმძღვანელებსაც, არასწორად აქვთ წარმოდგენილი პარტიის როლი მუშათა კლასის დიქტატურის სისტემაში, მით უმეტეს ახლანდელ პერიოდში, როდესაც საბჭოთა დემოკრატია კიდევ უფრო ფართო ფარგლებში უნდა ტარდებოდეს, ისინი არ იცნობენ ლენინისა და სტალინის მითითებებს ამის თაობაზე.

ჩვენ მეურნეობისათვის პასუხს ვაგებთ, როგორც პარტია, რომელიც წარმოადგენს მუშათა კლასის დიქტატურის სულსა და გულს. ჩვენ, კომუნისტებს, უფლება არა გვაქვს ჩამოვშორდეთ მეურნეობას და გვაწევს მთელი პასუხისმგებლობა სოციალისტური მშენებლობისათვის.

მაგრამ პარტიული ორგანიზაციები არ უნდა სცვლიდნენ და არ უნდა აუპიროვნებდნენ საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებს, რომელნიც უშუალოდ განაგებენ სამეურნეო მშენებლობას, ფინანსებს, დაგეგმვას და სხვ. პარტიული კომიტეტები არ უნდა გადაიზარდნონ სამეურნეო და საბჭოთა მშენებლობის შტაბებად. პარტია არის ძირითადი ხელმძღვანელი ძალა მუშათა კლასის დიქტატურის სისტემაში, — გვასწავლის ამხანაგი სტალინი. „მისი დანიშნულება იმაში მდგომარეობს, რომ **გააერთიანოს** პროლეტარიატის უკლებლივ ყველა მასობრივი ორგანიზაციის მუშაობა და **წარმართოს** მათი მოქმედება ერთი მიზნისაკენ, პროლეტარიატის განთავისუფლების მიზნისაკენ". (სტალინი).

ეს იმას ნიშნავს, რომ პარტია ყოველნაირად განამტკიცებს საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირულ ორგანიზაციებს, მათი საშუალებით ატარებს თავის გადაწყვეტილებებს, მაღლა სწევს მათს ავტორიტეტს, წარმართავს მთელს მათს მუშაობას. „პროლეტარიატის დიქტატურა, — ამბობს ამხანაგი სტალინი, — შესდგება პარტიის სახელმძღვანელო მითითებებისაგან პლუს ამ მითითებათა გატარება პროლეტარიატის მასობრივი ორგანიზაციების მიერ პლუს მათი განხორციელება მოსახლეობის მიერ".

კითხვა ისმება, რაღა საფუძვლით სცვლიან და იჭერენ პარტიული ორგანიზაციები საბჭოების, სამიწათმოქმედო განყოფილებების ადგილს, ფაქტიურად აშორებენ მათ მეურნეობის ხელმძღვანელობას, ხელს ჰკიდებენ უკლებლივ ყველა საქმეს? ამხანაგი სტალინი, ლაპარაკობდა რა პარტიის ხელმძღვანელ როლზე, — მიგვითითებდა: „ეს რა თქმა უნდა, არ ნიშნავს რომ პარტიას შეუძლიან შესცვალოს ან უნდა შესცვალოს პროფკავშირები, საბჭოები და სხვა მასობრივი ორგანიზაციები. პარტია ანხორციელებს პროლეტარიატის დიქტატურას. მაგრამ იგი ანხორციელებს მას არა უშუალოდ, არამედ პროფკავშირების შემწეობით, საბჭოებისა და მათი განშტოებათა საშუალებით. ამ „ამძრავთა" გარეშე შეუძლებელი იქნებოდა რამდენადმე მტკიცე დიქტატურა".

ამგვარად, ლენინიზმი გვასწავლის ვებრძოლოთ მავნე უკიდურესობებს. თანაბრად დამღუპველია პარტიისათვის პარტიულ-პოლიტიკური საკითხების მივიწყება და მეურნეობის ხელმძღვანელობისაგან ჩამოშორება. საჭიროა მოხერხებულად შევუთავსოთ პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა და მეურნეობის ხელმძღვანელობა, ამასთანავე დავეყრდნოთ როგორც ჯერ არს საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციებს.

მაშ რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ ეს ორგანიზაციები სავსებით ბრძოლისუნარიანი იყვნენ და წარმატებით ანხორციელებდნენ პარტიისა და მთავრობის მითითებებს?

უწინარეს ყოვლისა — განვამტკიცოთ ისინი კადრებით, შევარჩიოთ ისეთი ადამიანები, რომელთაც შეეძლებათ თავდადებით და ერთგულად, საქმის ღრმა ცოდნით უხელმძღვანელონ მეურნეობას.

ეს პრობლემა, კადრების შერჩევის პრობლემა, განსაკუთრებით მწვავედ დგას სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობის დარგში. მრეწველობაში რამდენადმე უკეთ არის საქმე. აქ კადრები ძირითადად უკვე ჩამოყალიბდნენ, მათ გავლილი აქვთ დიდი სკოლა სტალინური ხუთწლედების განხორციელებისათვის ბრძოლაში. სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციებში კი კადრები უფრო სუსტი და ნაკლებად მომზადებული არიან, და პარტიულ ორგანიზაციებს უხდებათ, და კვლავაც მოუხდებათ, იმუშაონ სამეურნეო მშენებლობის წვრილმანებზეც კი მანამდის, ვიდრე სამიწათმოქმედო ორგანოები ჯეროვნად არ გამტკიცდებიან.

თვითეული პარტიული ორგანიზაციის წინაშე ამჟამად მთელი სიგრძე-სიგანით დგება სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობისათვის კადრების შერჩევის საკითხი. ეს სამუშაო დიდია, რთულია და უაღრესად დაკვირვებულ დამოკიდებულებას მოითხოვს. საჭიროა კადრების შერჩევისას მხედველობაში მივიღოთ თვითეული მუშაკის ნამდვილი ღირებულება და არა ყალბი პრინციპი — „ჩვენი კაციაო". პირადი ნაცნობობა, პირადი ერთგულება — ეს ობივატელური ნიშნებია, და ამ ნიშნებით არ შეიძლება ვიხელმძღვანელოთ ადამიანთა შერჩევაში. კადრების შერჩევას საფუძვლად უნდა ედოს ლენინურ-სტალინური პრინციპი — ადამიანთა პოლიტიკური შემოწმება, მათი ერთგულება პარტიისადმი, მისი ცენტრალური კომიტეტისადმი და მათი საქმიანი გამოსადეგობა.

იწყება პარტიულ ორგანიზაციათა მუშაობის ძირეული გარდაქმნის ხანა. მისი წარმატება დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ გაიგებს თავის ამოცანებს პარტიული აქტივი, როგორ გაუძღვება იგი კომუნისტებს. ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებანი თვითეულ კომუნისტამდე უნდა დავიყვანოთ, ისინი ფართოდ უნდა იყვნენ ცნობილი ყველა მშრომელისათვის. ცოტა სამუშაო როდი მოგველის. ამიტომ საზიანო და სულელურია, როგორც ამას ზოგიერთი ცენტრალური გაზეთი სჩადის, საქმე იმგვარად დახატოს, თითქოს პარტიასა და [illegible] ხალხს უკვე შეესწავლოთ და [illegible] ც. კ-ის პლენუმის გადაწყვეტილებანი. ამ გადაწყვეტილებებს მასები ჯეროვნად კიდევ არ იცნობენ, მოლაყბე გაზეთები კი უკვე იუწყებიან საყოველთაო მისალმებებსა და მოწონებებზე. სინამდვილის ასეთი ყალბი დახატვა განაიარაღებს პარტიულ ორგანიზაციებს და, გარდა ზიანისა, ვერაფერს მოგვცემს. აქეთ-იქით წყვეტების გარეშე, მტკიცედ დაიხსომებს და განახორციელებს რა ლენინისა და სტალინის მითითებებს, მტკიცე ნაბიჯით გაემართება ჩვენი პარტია მასების სათავეში კომუნისტური საზოგადოების მწვერვალებისაკენ.

„პრავდის" მოწინავე, 9/III.

ჩაურევლობის კომიტეტის ქვეკომისიის სხდომაზე

ლონდონი, 8 მარტი (საქდესი). ჩაურევლობის კომიტეტის ქვეკომისიის სხდომაზე 6 მარტს დიდი კამათი გამოიწვია საკითხმა კანარის კუნძულთა შესახებ, რომლებიც, როგორც ვიცით, გენერალ ფრანკოს ხელშია. ექსპერტებმა, საბჭოთა კავშირის წარმომადგენელთა ენერგიული მოთხოვნით, შეიტანეს კანარის კუნძულები საერთო საფუძვლების მიხედვით—კონტროლის გეგმაში, ვინაიდან მათ სიახლოვეს არავითარი „ნეიტრალური" პორტი არ არის, გადაწყდა, კონტროლიორთა ჯგუფმა იცუროს კომიტეტის სპეციალური გემით კანარის კუნძულთა ტერიტორიულ წყლებს გარეშე, და იქით მიმავალი გემები წაიყვანენ კონტროლიორებს ამ მოცურავე „საკონტროლო პუნქტიდან".

ქვეკომისიის სხდომაზე 6 მარტს ლორდი პლიმუტი გადაჭრით გამოვიდა ექსპერტთა ამ პროექტის წინააღმდეგ. მან აღნიშნა, რომ კანარის კუნძულთა რაიონში „მოცურავე ოტელის" შენახვა, როგორც მან სთქვა, მეტად გაადიდებს კომიტეტის ხარჯებს. გერმანელმა და იტალიელმა დელეგატებმა ენერგიულად დაუჭირეს მხარი პლიმუტს და დაიწყეს მტკიცება, რომ კანარის კუნძულთა კონტროლი არ არის საერთოდ საჭირო. მაგრამ სსრ კავშირის წარმომადგენელი ამხ. მაისკი კატეგორიულად მოითხოვდა კანარის კუნძულთა შეტანას კონტროლის საერთო გეგმაში. გადაწყდა, რომ კანარის კუნძულებს ესპანეთის ტერიტორიის მთელ დანარჩენ ნაწილებთან ერთად კომიტეტის მხრით კონტროლი უნდა გაეწიოს.

ქვეკომისიის 5 მარტის სხდომაზე, როდესაც ირჩეოდა საკითხი „ნეიტრალური ნავსადგურებისა", სადაც ესპანეთს მიმავალმა გემებმა კონტროლიორები უნდა მიიღონ, მოხდა ინციდენტი, რამაც მეტად აღელვა ქვეკომისიის წევრები. დასახელებულ ნავსადგურებში ურევია აგრეთვე პორტუგალიის ორი ნავსადგური — ლისაბონი და მადეირა. პორტუგალიის წარმომადგენელმა მონტეირომ მოულოდნელად განაცხადა, რომ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება საბჭოთა გემები დაშვებულ იქნან პორტუგალიის ნავსადგურებში. მაშინ სსრ კავშირის წარმომადგენელმა ამხ. მაისკიმ თავის მხრივ განაცხადა, რომ, როგორც მას წინათაც არაერთხელ გაუსვამს ხაზი, კომიტეტის ნორმალური მუშაობა მხოლოდ მის ყველა წევრთა თანასწორუფლებიანობის ბაზაზე შეიძლება. რამდენადაც პორტუგალიის მთავრობას სურს შეჰქმნას განსაკუთრებული დისკრიმინაციული რეჟიმი სსრ კავშირის გემების მიმართ, ის იძულებულია დაჟინებით მოითხოვოს, რათა პორტუგალიის ნავსადგურები გამორიცხულ იქნან საერთოდ იმ „ნეიტრალურ ნავსადგურთა" რიცხვიდან, სადაც წესდება კომიტეტის საკონტროლო პუნქტები.

6 მარტს მთელი დღის განმავლობაში ქვეკომისიის კულისებში სწარმოებდა გაცხოველებული დიპლომატიური მოლაპარაკება, რომელმაც საღამოსთვის ასეთი შედეგი გამოიღო: ლორდმა პლიმუტმა, როგორც თავმჯდომარემ, განაცხადა ქვეკომისიის სხდომაზე, რომ პორტუგალიის დელეგატის გამოსვლას 5 მარტს არავითარი დამოკიდებულება არ ჰქონია გასარჩევ საკითხთან და ამიტომ ის უნდა განიხილონ, როგორც არ არსებული. მონტეირო შეუერთდა თავმჯდომარის ამ აზრს და განაცხადა: „ის, რაც გუშინ იყო, აღარ არის". მაშინ ამხ. მაისკიმ უპასუხა: „თუ ის, რაც გუშინ იყო, აღარ არის, მაშინ აღარ არის ჩემი წინადადებაც (ე. ი. წინადადება პორტუგალიის ნავსადგურთა გამორიცხვის შესახებ), რომელიც გუშინ შემოვიტანე". ამით ინციდენტი ამოწურულად ჩაითვალა და ქვეკომისიამ ამის შემდეგ დაამთავრა საზღვაო და სახმელეთო კონტროლის გეგმის განხილვა.

იმ სიძნელეთა გამო, რომელთაც ფაშისტური სახელმწიფოები უქმნიდნენ კონტროლის განხორციელების საქმეს, შეუძლებელი გახდა ამ კონტროლის განხორციელება. 6 მარტს ღამით, რასაც ითვალისწინებდა კომიტეტის 16 თებერვლის გადაწყვეტილება. ამიტომ, საფრანგეთის დელეგატის კორბენის წინადადებით, ქვეკომისიამ 6 მარტს დაადგინა, რათა კომიტეტის აგენტები ესპანეთის სახმელეთო საზღვრებზე, აგრეთვე საზღვაო კონტროლის მონაწილე სახელმწიფოთა (ინგლისი, საფრანგეთი, გერმანია და იტალია) სამხედრო გემები 13 მარტს ადგილზე იყვნენ თავის ზონებში, მაგრამ არის მრავალი საფუძველი ვიფიქროთ, რომ სხვადასხვა ტექნიკურ მიზეზთა გამო კონტროლის ფაქტიური განხორციელება 20 მარტზე ადრე არ დაიწყება.

ესპანეთის კომპარტიის ც. კ-ის პლენუმი

ვალენსია, 8 მარტი (საქდესი). ესპანეთის კომპარტიის ც. კ-ის პლენუმის 7 მარტის საღამოს სხდომაზე განახლდა კამათი კომპარტიის გენერალური მდივნის ხოზე დიასის მოხსენების გამო. სხვა ორატორთა შორის გამოვიდნენ: კომუნისტი დეპუტატი-ქალი მარგარიტა ნელკენი, განათლების მინისტრი ერნანდესი, „მუნდო ობრეროს" რედაქტორი ბალესტეროსი, მე-5 ლეგიონის ყოფილი მეთაური. ამჟამად აგრარული რეფორმის ინსტიტუტის დირექტორი კასტრო და სევილიის ოლქკომის მდივანი დელიკადო. მარგარიტა ნელკენმა ილაპარაკა იმ მოტივებზე, რის გამოც იგი ამას წინათ სოციალისტური პარტიიდან კომპარტიაში გადავიდა.

განათლების მინისტრმა ერნანდესმა დაახასიათა ფაშისტი გენერლები და ხუცები, როგორც ძველ საშუალო საუკუნეთა რეაქციული ესპანეთის პირდაპირი მემკვიდრენი. მთელი რიგი ისტორიული მაგალითებით ცხადჰყო, რომ ფრანკო და კომპანია მხოლოდ წაბავენ ესპანეთისა და გერმანიის საშუალო საუკუნეების ძველ შავბნელ ნიმუშებს. მან მოუთხრო პლენუმს, თუ, რესპუბლიკური მთავრობა, მიუხედავად მძიმე სამხედრო მდგომარეობისა რა ძალღონეს ხმარობს იმისათვის, რომ აამაღლოს ხალხის მასების კულტურული დონე და მოახდინოს ესპანეთისა და საერთაშორისო კულტურის საუკეთესო მონაპოვართა დემოკრატიზაცია. ერნანდესი შეეხო აგრეთვე ინტელიგენციის როლს და ხაზი გაუსვა, რომ იმ ბრძოლაში, რომელიც ახლა სწარმოებს, ინტელიგენციის ადგილი არის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ხალხის მხარეზე. დასახა რა სახალხო ფრონტის ამოცანები კულტურის დარგში, ერნანდესმა მიუთითა საბჭოთა კავშირის მაგალითზე, სადაც კულტურა საყოველთაო კუთვნილებას შეადგენს.

ბალესტეროსმა — რედაქტორმა პარტიის ცენტრალური ორგანოს „მუნდო ობრეროსი", არსებითად ახლა საფრონტო გაზეთისა, რომელიც გამოდის ცეცხლის ხაზიდან რაღაც ორიოდე კილომეტრის მანძილზე. უამბო პლენუმს რედაქციის მუშაობის შესახებ და იმაზე, თუ რა მნიშვნელობა აქვს ამ გაზეთს ესპანეთის დედა-ქალაქის დამცველთა და მოსახლეობისათვის. თავისი ყოველდღიური ტირაჟით — 80 ათას ეგზემპლარამდე — „მუნდო ობრერომ" მტკიცედ დაიკავა პირველი ადგილი მადრიდის გაზეთებში.

ნასადილევს გამართულ სხდომაზე პლენუმმა მოისმინა მისალმება ინგლისის კომპარტიის ც. კ-ის გენერალური მდივნის პოლიტისა, რომელმაც აღნიშნა, რომ ესპანეთის მუშათა კლასმა ყველაზე სახელოვანი ფურცელი ჩასწერა პროლეტარიატის უკანასკნელი ათი წლის ბრძოლის ისტორიაში.

◇ ◇ ◇

იტალიელთა ჯარების შეგროვება გენ. ფრანკოს დასახმარებლად

პარიზი, 8 მარტი (საქდესი). „ლუმანიტე" აქვეყნებს ესპანიის სააგენტოს კორესპონდენტის დეპეშას მილანიდან იმ ბრძანებების შესახებ, რომლებიც რომიდან გაიგზავნა პროვინციის ქალაქებში. ბრძანების თანახმად ნეაპოლში უმოკლეს ხანში თავი უნდა მოუყარონ 25 ათას ჯარისკაცს. დაკავშირებით იტალიის მთავრობის ამასწინანდელ ინსტრუქციებთან.

— ესპანეთისათვის „მოხალისეთა" შეგროვების გაძლიერების შესახებ, უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ჯარები მეამბოხეთა დასახმარებლად არიან დანიშნულნი.

პარიზი, 8 მარტი (საქდესი). ესპანიის სააგენტოს ცნობით პირველ მარტს ღამით გემ „ზენიათი" იტალიის ნავსადგურ საფონიდან (გენუის დასავლეთით) კადიქსში გაგზავნეს ორასი სატვირთო მანქანა გენერალ ფრანკოს ჯარებისათვის. 3 მარტს ნეაპოლიდან მეამბოხეთა დასახმარებლად გაგზავნეს 500 იტალიელი „მოხალისე".

მუსოლინი მიემგზავრება ლივიას

რომი, 8 მარტი (საქდესი). ხვალ მუსოლინი ამალით ხანგრძლივად მიემგზავრება ლივიას (იტალიის კოლონია ჩრდილო აფრიკაში), სადაც გაიხსნება ავტოგზა ხმელთაშუა ზღვის სანაპიროს გასწვრივ, ტუნისიდან ეგვიპტემდე, დაახლოვებით 2 ათასი კილომეტრის მანძილზე. სავსებით ცხადია, რომ ეს გზა, უწინარეს ყოვლისა, სამხედრო სტრატეგიული მოსაზრებებით არის გაყვანილი.

როგორც კომპეტენტურ წრეებში აღნიშნავენ, ავტოგზა იტალიის ხელისუფლებას საშუალებას მისცემს სწრაფად გადაისროლოს ხოლმე ჯარები იმ ადგილებში, სადაც ისინი საჭირო იქნებიან „წესრიგის აღსადგენად". გზას არანაკლები მნიშვნელობა ექნება „საჭიროების შემთხვევაში" ეგვიპტისა და საფრანგეთის ტუნისის წინააღმდეგ სამოქმედოდაც.

გერმანია-იტალიის მომავალი სავაჭრო მოლაპარაკება

ბერლინი, 8 მარტი (საქდესი). რომს მიემგზავრება გერმანელ ვაჭართა დელეგაცია. გერმანიის სავაჭრო წრეების წარმომადგენლები შეუდგებიან იტალიაში სავაჭრო საქმის დაყენების შესწავლას. დელეგაცია მიიღებს აგრეთვე მონაწილეობას საგაზაფხულო ბაზრობაში, რომელიც 18 მარტს იწყება ტრიპოლიში. გარდა ამისა, გერმანიის ვაჭართა დელეგაცია, მიუხედავად თავისი არაოფიციალური ხასიათისა, შეისწავლის აგრეთვე გერმანია-იტალიის სავაჭრო ურთიერთობათა საკითხს და დაიწყებს მოლაპარაკებას გერმანიის ფირმების მონაწილეობის შესახებ აბისინიაში იტალიელთა სავაჭრო ოპერაციებში.

◇ ◇ ◇

იაპონიის სამხედრო წრეები უკმაყოფილონი არიან ჰაიასის ღონისძიებებით

ტოკიო, 8 მარტი (საქდესი). გაზეთი „კოკუმინი" სწერს, რომ იაპონიის სამხედრო წრეები მეტად უკმაყოფილონი არიან ჰაიასის უარყოფითი დამოკიდებულებით სახელმწიფო რეფორმებთან და, შესაძლებელია ამ საკითხის გამო მალე მოიწვიონ სამხედრო სამინისტროს და გენერალური შტაბის ხელმძღვანელი თანამდებობის პირთა განსაკუთრებული თათბირი. სამხედრო წრეები, განაგრძობს გაზეთი, ფრიად იმედგაცრუებულნი არიან ჰაიასის განცხადებით „ტვინის ტრესტის" შექმნის და ახალ მინისტრთა დანიშვნის საკითხების შესახებ, ვინაიდან ისინი მოელოდნენ, რომ სამხედრო ხელისუფალთაგან წარდგენილი მოთხოვნები ამ დარგში სასწრაფოდ იქნებოდა დაკმაყოფილებული.

საბჭოთა კავშირში

კარლ მარქსის „კაპიტალი" ბელორუსულ ენაზე

მინსკი, 9 მარტი (საქდესი). დიდი პროლეტარული რევოლუციის ოცი წლისთავისათვის ბელორუსულ ენაზე პირველად გამოიცემა კარლ მარქსის „კაპიტალის" პირველი ტომი. მთარგმნელთა კოლექტივმა ძირითადი მუშაობა უკვე დაამთავრა. წიგნი გამოიცემა 15 ათას ეგზემპლარად.

მომავალ წელს გამოსცემენ მეცნიერული სოციალიზმის ფუძემდებლის დიადი ქმნილების ორ დანარჩენ ტომს.

ამხ. ფარიხის გადაფრენა

კამჩატკის პეტროპავლოვსკი, 8 მარტი (საქდესი). დღეს, 12 საათსა და 35 წუთზე ანადირიდან მოვიდა ცნობა, რომ ფარიხის თვითმფრინავი მარკოვოში იმყოფება და ელოდება საწვავ მასალას. მფრინავმა კამენსკიმ, რომელსაც საწვავი მასალა უნდა მიეტანა ფარიხისათვის, გუშინ სცადა ანადირიდან გაფრენა, მაგრამ ამაოდ. მას ხელი შეუშალა ძლიერმა ქარმა.

სამშობიარო სახლები და რძეულის სამზარეულოები

მოსკოვი, 8 მარტი (საქდესი). ქალთა საერთაშორისო კომუნისტურ დღეს მრავალ ქალაქსა, რაიონსა, საკოლმეურნეო სოფელსა და აულებში მწყობრში შევიდა ათობით და ასობით ახალი საბავშვო ბაგები. სამშობიარო სახლები და რძეულის სამზარეულოები.

სსრ კავშირის ჯანსახკომისარიატის არასრული ცნობით 1 მარტისათვის აბორტების აკრძალვისა და მშობიარეთათვის დახმარების შესახებ მთავრობის დადგენილების შესასრულებლად აგებულია 193 სამშობიარო სახლი 1.750 საწოლით. 350 ბაგა. 18.700 საწოლით და 46 რძეულის სამზარეულო.

ამხ. ალექსანდრე გოლოშვილი

ამხანაგ სტალინის სახელობის კასპის ცემენტის ქარხნის საწარმოო საამქროს ცვლის საუკეთესო ოსტატი.

ფოტო რ. აკოფოვისა.

გულადი ბურიატ-მონღოლელი ქალები მოსკოვში

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი —
ამხანაგ სტალინს
სსრ კავშირის სახკომსაბჭო —
ამხანაგ მოლოტოვს
თავდაცვის სახალხო კომისარს, საბჭოთა კავშირის მარშალს
ამხანაგ ვოროშილოვს
საკ. ალკკ ცენტრალური კომიტეტი —
ამხანაგ კოსარევს

ოთხნახევარი თვის წინათ ულან-უდეში დაიწყო ჩვენი ქვეითი — სათხილამურო გადასვლა მარშრუტით ულან-უდე — მოსკოვი, 6.065 კილომეტრის მანძილზე.

დღეს ლაშქრობა დამთავრებულია. გადალახულია სათხილამურო გადასვლათა რეკორდები! როგორიც კი დღემდე ქალებს დაუმყარებიათ. ჩვენ მოვემართებოდით ბაიკალის მთებით, ციმბირის უნაპირო ველებით და ურალის მაღალი ქედებით, ვძლევდით ქარ-ბუქს, ნამქერს, შეხვედრ ქარებს, წყალდიდობას.

ჩვენი სამშობლოს თვალუწვდენ სივრცეებზე რომ მოვდიოდით, ყოველ ნაბიჯზე ვამჩნევდით ბედნიერი საბჭოთა ადამიანების შემოქმედებითს შრომას. სოციალისტური მშენებლობის გრანდიოზულ გაქანებას და ვხედავდით, თუ რა ბევრი რამ კეთდება, რათა ჩვენი ქვეყნის მშრომელთა ცხოვრება დღითიდღე უკეთესი, უფრო მდიდრული, უფრო ლამაზი და ნათელი იყოს. ყოველ ნაბიჯზე ვხედავდით ჩვენს ქვეყანაში მოსახლე ხალხთა განუწყვეტელ ძმობრობას.

ჩვენ უზომოდ ბედნიერი ვართ, რომ წილად გვხვდა დიდი პატივი— გაგვეხორციელებინა ეს გადასვლა. რომელიც დიდებას ჰმატებს საბჭოთა ახალგაზრდობასა და ჩვენს მშობლიურ ბურიატ-მონღოლეთს.

გზა ულან-უდედან მოსკოვამდე ჩვენ გავიარეთ 95 სავალ დღეში. საშუალოდ დღეღამეში გავდიოდით ქვეითად 43 კილომეტრს, თხილამურებით კი — 70,3 კილომეტრს. მოსკოვს ჩვენ მოვაღწიეთ დასახულ ვადამდე ორი დღით ადრე, რათა მონაწილეობა მივიღოთ ქალთა კომუნისტური დღის დღესასწაულში.

საბჭოთა ბურიატ-მონღოლეთის მთელი ახალგაზრდობის სახელით გარწმუნებთ, რომ არ არის ისეთი საგმირო საქმე, რომელიც არ შეასრულონ საბჭოების ქვეყნის ახალგაზრდა პატრიოტმა ქალებმა ჩვენი სამშობლოს სადიდებლად. ასეთ მტკიცე, ნებისყოფიან შეუპოვარ, გაბედულ ადამიანებად გვზრდის ჩვენ სახელოვანი კომუნისტური პარტია და ლენინური კომკავშირი.

გაუმარჯოს ჩვენს სახელოვან კომუნისტურ პარტიას, ჩვენს მშობლიურ ამხანაგ სტალინს!

გაუმარჯოს საბჭოთა მთავრობას და მის სახელოვან ხელმძღვანელს— ამხანაგ მოლოტოვს!

გაუმარჯოს უძლეველ მუშურ-გლეხურ წითელ არმიას, საბჭოთა კავშირის მარშალს, თავდაცვის სახალხო კომისარს ამხანაგ ვოროშილოვს!

გაუმარჯოს ლენინურ კომკავშირს!

ულან-უდე — მოსკოვის ქვეითი სათხილამურო გადასვლის კომანდა: **მარიამ ხახალოვა, ანასტასია სუნკუევა, ლიზა კონსტანტინოვა, სონია ტიხეევა, ვერა ლიუბიმსკაია,** კომანდორი **ლეონიდე ბობიკინი,** პოლიტხელმძღვანელი **ალექსანდრე საზონოვი.**

1937 წ. 6 მარტი.
ქ. მოსკოვი.

◇

ჭიათურის მარგანეცის მრეწველობის მაღაროელთა საბრძოლო ვალდებულებანი

დონბასის ქვანახშირისა და მეტალურგიული მრეწველობის სტახანოველთა, დამკვრელთა და სამეურნეო მუშაკთა მიმართვის პასუხად, ჩვენ, ჭიათურის მარგანეცის მრეწველობის მაღაროელები ვებმებით ლენინ-სტალინის პარტიის ერთგული შვილის, ჩვენი ძვირფასი და დაუვიწყარი სერგო ორჯონიკიძის სახელობის ლაშქრობაში სტახანოველთა და დამკვრელთა დიადი მოძრაობის ახალი აღმავლობისა, სოცშეჯიბრების ფართოდ გაშლისა და იმ დიდი ამოცანის შესრულებისათვის, რომელიც ჩვენმა სერგომ ქვანახშირისა და მეტალურგიის მუშაკებს დაუსახა.

ვებმებით რა ორჯონიკიძისეულ ლაშქრობაში ვკისრულობთ შემდეგ ვალდებულებებს:

1. მარგანეცის 1937 წლის გეგმას შევასრულებთ 15 დეკემბრისათვის.
2. უახლოეს დროში ყველა მაღაროს, ქარხანას, [illegible] უბანს და ცვლას გადავიყვანთ მუშაობის სტახანოვურ მეთოდებზე.
3. მარგანეცის მრეწველობაში შრომის ნაყოფიერებას გავზრდით 20 პროცენტით.
4. წლიური გეგმის ზევით ქვეყანას მივცემთ 80 ათას ტონა მარგანეცს.
5. პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით და მაღალხარისხოვანი მარგანეცის გამოშვებით წელს ქვეყანას მივცემთ 2 მილიონ მანეთ მოგებას.

ჩვენ, ჭიათურის სტახანოველები, დამკვრელები, ინჟინერ-ტექნიკოსები და სამეურნეო მუშაკები კიდევ უფრო მტკიცედ დავირაზმებით ლენინ-სტალინის პარტიისა და მშობლიური სტალინის ირგვლივ, ბოლომდე გამოვავლინებთ და მოვსპობთ სისხლიანი ფაშიზმის აგენტებს, კონტრრევოლუციურ ტროცკისტ-ზინოვიეველებს მემარჯვენე გარეწრებს.

○

(მიღებულია ჭიათურის მარგანეცის მრეწველობის სტახანოველთა, დამკვრელთა, ინჟინერ-ტექნიკოსთა და სამეურნეო მუშაკთა თათბირის მიერ, რომელსაც ესწრებოდა 250 კაცი).

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებანი—შინაპარტიული დემოკრატიის შემდგომი გაშლის პროგრამა

ფართოდ გავშალოთ შინაპარტიული დემოკრატია და თვითკრიტიკა

მოსკოვი, 8 მარტი (საქდესი). პარტიული ორგანიზაციები განსაკუთრებული აქტივობით იხილავენ საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის ისტორიულ გადაწყვეტილებებს. მხურვალედ იწონებენ რა პლენუმის მიერ შინაპარტიული დემოკრატიის კიდევ უფრო ფართოდ გასაშლელად მიღებულ ღონისძიებებს, კომუნისტები თავის გამოსვლებში აღნიშნავენ, რომ პლენუმის გადაწყვეტილებებს უმაღლეს საფეხურზე აჰყავს პარტიის მთელი ორგანიზაციული და პოლიტიკური მუშაობის დონე.

ქარხნების, კოლმეურნეობების, დაწესებულებების პარტიულ კრებებზე, საუბრების და კითხვის დროს მოჰყავთ საკ. კ. პ. (ბ) წესდების დარღვევის ფაქტები. პარტიული მასები ჰგმობენ პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში ხელმძღვანელი მუშაკების დანიშვნის პრაქტიკას.

— პარტიული ორგანოების არჩევისას პერსონალური და ფარული კენჭისყრის შემოღება, აღნიშნავენ კომუნისტები, გააძლიერებს კომუნისტების პასუხისმგებლობას, დიდად შეუწყობს ხელს პარტიული ცხოვრების კიდევ უფრო მეტად გამოცოცხლებას, მთელი პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის გაძლიერებას.

კიროვის სახელობის ქარხანა „დინამოში“ (მოსკოვი) შემდუღებელი საამქროს ოსტატმა ამხ. მილეშინმა განაცხადა:

— ფარული კენჭისყრა ყოველ კომუნისტის წინაშე აყენებს ბოლშევიკური სიფხიზლის კიდევ უფრო გაძლიერების საკითხს. წინათ მოიძებნებოდნენ ისეთი კომუნისტები, რომლებიც ფიქრობდნენ, რომ რაკი პარტკომი იძლევა რეკომენდაციას, მაშასადამე შემოწმებული ადამიანები არიან, შეიძლება ხმა მივცეთ მათ. ახლა კი, ფარული კენჭისყრისას, მე შევარჩევ კანდიდატებს, მე კარგად უნდა ვიცნობდე ადამიანს, რომელსაც ხმას ვაძლევ.

საქმიანად სწარმოებს პლენუმის გადაწყვეტილების განხილვა კუიბიშევის პარტიულ ორგანიზაციებში. საქვაბე ქარხნის პარტორგმა ამხ. პეტროვმა კრებაზე სთქვა:

— პლენუმის რეზოლუცია რომ წავიკითხე, ჩემთვის ნათელი გახდა პარტიული მუშაობის გარდაქმნის გზები და ახალი მეთოდები. უდიდეს სიმაღლეზე ადის შინაპარტიული დემოკრატია, სერიოზული პასუხისმგებლობა ეკისრება ყოველ პარტიულ მუშაკს.

ერთსულოვნად იწონებენ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებას საკ. კ. პ. (ბ) რიგებიდან საზიზღარი თვალთმაქცების, სამშობლოს მოღალატეების ბუხარინისა და რიკოვის გარიცხვას.

პარტიული ორგანიზაციები იწყებენ საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესწავლას. სიმფეროპოლის პარტორგანიზაციაში შესდგა პარტიული და კომკავშირული სკოლებისა და წრეების პირველი მეცადინეობა, მიძღვნილი ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებებისადმი.

ყველგან დაიწყო მზადება პარტიული ორგანოების მომავალი არჩევნებისათვის.

აშკარავებენ თავისი ორგანიზაციის ნაკლოვანებებს

ორჯონიკიძის სახ. ქარხანაში მეორე დღეა იხილავენ საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებას ამხ. ჟდანოვის მოხსენების გამო. პარტკრებებზე ქარხნის კომუნისტები ერთსულოვნად იწონებენ პლენუმის გადაწყვეტილებებს.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება, — ამბობს სტახანოველი ამხ. მიხეილ ბაგდასაროვი, — ფარული კენჭისყრის შესახებ გააათკეცებს პარტიის წევრთა აქტივობას, გააძლიერებს არჩეულთა პასუხისმგებლობას ამომრჩეველთა წინაშე და გააუმჯობესებს მთელს პარტიულ მუშაობას.

კამათში გამოსულნი, პარტიის წევრები აშკარავებენ თავისი პარტორგანიზაციის ნაკლოვანებებს. ასე, მაგალითად, პარტჯგუფების კრებებზე გამოვლინებულ იქნა, რომ საზეინკლო საამქროს პარტორგს ამხ. გერმისაშვილს ორი წლის განმავლობაში არ ჩაუბარებია ანგარიში პარტჯგუფისათვის.

ასეთივე ფაქტი გამოავლინეს სახარატო საამქროს პარტჯგუფშიც. აქ პარტორგი ამხ. მინასიანი არავითარ პასუხისმგებლობას არ გრძნობდა თავისი პარტჯგუფის წინაშე. წელიწადნახევარზე მეტხანს არ აბარებდა ანგარიშს მას და არ აწვდიდა ინფორმაციას თავისი მუშაობის შესახებ.

კრებებზე აღინიშნა პარტიის წესდების აღმაშფოთებელი დარღვევა პარტკომის ყოფილი მდივნების ამხ. პ. კალინინისა და ჩერნიკოვის მხრივ. სხვა სამუშაოზე გადასვლისას მათ ეს არ აცნობეს პარტორგანიზაციას და არ ჩააბარეს ანგარიში საერთო პარტიულ კრებას.

ორჯონიკიძის სახ. ქარხნის პარტორგანიზაციაში ადგილი ჰქონდა პარტკომის შემადგენლობაში კოოპტაციის პრაქტიკასაც. ასე მაგალითად, ამ ცოტა ხნის წინათ პარტკომში კოოპტირებულ იქნა პარტიის ორი წევრი (საქდესი).

ფარული კენჭისყრა აძლიერებს ყოველი კომუნისტის აქტივობას

უდიდესი ინტერესით გაეცნენ თბილისის 26 კომუნარის სახ. მანქანათმშენებლობის ქარხნის კომუნისტები საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მიერ ამხ. ჟდანოვის მოხსენების გამო მიღებულ ისტორიულ გადაწყვეტილებებს. საამქროს პარტჯგუფების კრებებზე ტარდება პლენუმის გადაწყვეტილებათა ხმამაღალი კითხვა და განხილვა.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებანი გაშლილი პროგრამაა მთელი პარტიისათვის,— ამბობს ქარხნის პარტკომის მდივანი ამხ. კოქლაძე. პარტიის წესდების მოთხოვნათა უსასტიკესი დაცვა პარტიული მუშაობის საფუძველია. ამავე დროს ჩვენი პარტიული ორგანიზაციის ცხოვრებიდან შეგვიძლია გავიხსენოთ პარტიის წესდების მოთხოვნათა და შინაპარტიული დემოკრატიის პრინციპების დარღვევის ბევრი შემთხვევა. პარტკომის უკანასკნელ გადარჩევამდე ჩვენთან ქარხანაში ფართოდ იყო გავრცელებული პარტიული კომიტეტის წევრთა კოოპტაცია სხვა სამუშაოზე გადაყვანილთა ნაცვლად. პარტიული კომიტეტი წელიწადნახევარ-ორი წლის განმავლობაში არ აბარებდა ანგარიშს კომუნისტების საერთო საქარხნო კრებას. მთელი წლისა და უფრო მეტი ხნის განმავლობაში არ აბარებდნენ ანგარიშს საამქრო ჯგუფპარტორგანიზატორები.

არსებობდა ისეთი პრაქტიკაც, — ამბობს სახარატო საამქროს პარტორგი ამხ. ხუნაძიანი, როცა საერთო საქარხნო კრების განსახილველი საკითხები განსახილველად ისმებოდა საამქროს პარტიულ კრებებზე ან საქარხნო პარტიულ კონფერენციებზე. ამრიგად მთელი პარტიული მასა რადი ღებულობდა მონაწილეობას პარტიულ ცხოვრებაში.

9 მარტს სადილობის შესვენებისას საფეიქრო მანქანათა და სახარატო საამქროებში პარტჯგუფების კრებებზე ქარხნის კომუნისტები ამთავრებდნენ პლენუმის რეზოლუციის კითხვას. საამქროს პარტორგი კითხულობს ყოველ მუხლს, თვითეული ნაწილის წაკითხვის შემდეგ იმართება გაცხოველებული საუბარი, მიმართავენ კითხვებით, პარტორგი იძლევა ახსნა-განმარტებას, ცალკე კომუნისტები გამოსთქვამენ თავიანთ აზრს.

— ფარული კენჭისყრა გააძლიერებს კომუნისტების პასუხისმგებლობას, ხელს შეუწყობს პარტიული მუშაობის გაუმჯობესებას. — ამბობს ამხ. აკოფოვი, სახარატო საამქროს ბრიგადირი, სტახანოველი. ყოველი კომუნისტი პასუხისმგებელი იქნება არჩეული ხელმძღვანელებისათვის. ხელმძღვანელ პარტიულ ორგანოებში ავირჩევთ ავტორიტეტიან ადამიანებს, რომელთაც გამოიჩინეს თავი პარტიულ მუშაობაში.

— ერთიასად იმატებს ყოველი კომუნისტის ბოლშევიკური სიფხიზლე,—ამბობს ამხ. მამისარჯიანი.

ქარხნის კომუნისტები ერთსულოვნად იწონებენ პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებას პარტიიდან საზიზღარი თვალთმაქცების — ბუხარინისა და რიკოვის გარიცხვის შესახებ. (საქდესი).

გაცხოველებით იხილავენ საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პლენუმის გადაწყვეტილებას

თელავი, 9 მარტი (საქდესი). თელავის რაიონის პარტორგანიზაციებში გაცხოველებით იხილავენ საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებას ამხ. ჟდანოვის მოხსენების გამო. 7 მარტს პარტიის რაიკომმა მოიწვია პარტაქტივის თათბირი, რომელზედაც წაიკითხეს საინფორმაციო ცნობა პლენუმის შესახებ და რეზოლუცია. ამავე თათბირზე გამოჰყვეს საუკეთესო აგიტატორი მომხსენებლები განხილვის ჩასატარებლად პირველად პარტორგანიზაციებში. მიმაგრებული ამხანაგები იმავე დღეს გაემგზავრნენ რაიონში.

8 მარტს თელავის საწარმოთა პარტჯგუფებში დაიწყო საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილების ფართო განხილვა. კომუნისტები იწონებენ საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებებს და ისახავენ მთელ რიგ ღონისძიებებს მათს განსახორციელებლად. რაიონის ჯგუფობრივი პარტკრებები ყველგან იწონებენ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებას ანტიპარტიული მუშაობისათვის ბუხარინისა და რიკოვის პარტიიდან გარიცხვის შესახებ (საქდესი).

ვიყოთ ფხიზლად, ვიმუშაოთ უკეთესად

თბილისის ამხანაგ სტალინის სახელობის ორთქლმავალ - ვაგონების შემკეთებელ ქარხანაში თვის შუა რიცხვებამდე ნელი ტემპით მუშაობა ჩვეულებად გადაიქცა. თვის მეორე ნახევარში იწყება შტევა, რასაც მოსდევს წუნი, განმეორებით შეკეთება, ორთქლმავლების სასინჯ გადარბენაში რამდენჯერმე გაგზავნა, ზედმეტ საათებში მუშაობა, გადახარჯვა და სხვ.

ქარხანას აკლია ხელსაწყო-იარაღები; რაც არის, ისიც ცუდი ხარისხისაა. ამის გამო მუშა-ხელოსნები სამართლიან უკმაყოფილებას გამოსთქვამენ.

კადრების შენარჩუნებაზე არც ზოგიერთი ოსტატი ზრუნავს. კვალიფიციურ ხარატს ამხ. პეტრე ტოკარევს მოამზადებინეს მოწაფე. მომზადებაში კადრების განყოფილებამ ამხ. ტოკარევს ორასი მანეთი მისცა. მაგრამ ტოკარევმა და ოსტატმა ამხ. გიორგი ანთაძემ ვერ შეუქმნეს სათანადო პირობები და მომზადებული ხარატი, რომელსაც შეეძლო ტოკარევის შეცვლა, იძულებული გახდა დაეტოვებინა ქარხანა. ქარხანა დასტოვეს აგრეთვე კვალიფიციურმა მრანდაჟმა ამხ. ვლადიმერ გოგლიძემ და სხვებმა.

რამდენიმე წელიწადია ლაპარაკია იმაზე, რომ ამწყობ საამქროში მოეწყოს ელექტროშემდუღებელი წერტი, რაც საგრძნობლად დააჩქარებდა ორთქლმავლებისათვის ცილინდრების დამზადების საქმეს, მაგრამ ინჟ. ისაკი იუზბაშევს დღემდე თითიც არ გაუნძრევია ამ საქმის მოსაგვარებლად. ცილინდრები მიაქვთ ელექტროშემდუღებელ საამქროში. ზოგჯერ ორ კვირაზე მეტი გადის ცილინდრის გადატან-გადმოტანაში და შედუღებაში.

— ჩემი ბრიგადა, ექვსი კაცი, ხშირად სცდება მასალის მოუწოდებლობისა და ხელსაწყო - იარაღის სიმცირის გამო. მინდა საქმე წინ წავწიო, მაგრამ ხელს არ მიწყობენ. — ამბობს სტახანოველი ამხ. კოსტა ზიბროვი, — თორემ ჩემს და ამხ. ალექსანდრე ჯავახიშვილის ბრიგადებს თავისუფლად შეუძლიათ თვეში ოცდაათი ორთქლმავლისათვის დაამზადონ ცილინდრები.

— ჩემი ბრიგადის ნაყოფიერ მუშაობას ოსტატ ამხ. გ. ანთაძის მედაზგეები ბორკავენ, — სთქვა საცვიდების ოსტატმა ამხ. ვასილ იმხანაშვილმა. — თავის დროზე არ მიჩარხავენ ნაწილებს, აკლიათ მრანდავები, მჩარხავები; ხელოსნების სიმცირის გამო გასაჩარხი ნაწილები სამ-ოთხ დღეს დაზგებთან ჰყრია; რასაც გაჩარხავენ, არც ის არის საუკეთესო ხარისხის. ფუჭდება მასალა. ოდესაც საქმის დაჩქარებას მოვითხოვ, ოსტატი ანთაძე მიპასუხებს: კვალიფიციური მჩარხავები მაკლია, ვერ ვასწრებ ნაწილების გაჩარხვას. რასაც აკეთებენ, იმაზედაც მადლობელი იყავით. წადი, სადაც გინდა მიიჩივლეო...

მთელ ქარხანაში საამქროებს შორის ყველაზე ჩამორჩენილია ამწყობი საამქრო. აქ შრომის დისციპლინაც მოისუსტებს, ცვლაში 420 წუთი მთლიანად დატვირთული არ არის.

3 თებერვალს პირველ ცვლაში მუშაობდა ხარატი პავლე ბატონისაშვილი. მუშაობის დამთავრებისას მან ხელსაწყო - იარაღები ჩაჰკეტა განჯინაში და დაიმუქრა: იარაღებს ხელი არავინ ახლოს, თორემ... გადამალა გასაჩარხი რგოლებიც. მოვიდა ბატონისაშვილის შემცვლელი ამხ. ვახტანგ ოდიშვილი, მაგრამ მას არც იარაღი ჰქონდა და არც სამუშაო. ოსტატი ანთაძე კი შორიდან უყურებდა ღუმელთან უსაქმოდ ატუზულ ოდიშვილს. დამნაშავენი დღემდე დაუსჯელნი არიან.

— ღერძების მჩარხავი დაზგა № 34 ოცდაათი წელიწადია მუშაობს შეუკეთებლად. ახლა იგი დანჯღრეულია და ვერ იძლევა კარგი ხარისხის პროდუქციას. საწნეხი დაზგა ერთ დღეს მუშაობს, ხუთ დღეს შეკეთებაშია. არც მასალით ვართ უზრუნველყოფილი. ვცდებით, ხშირად ვდგევართ უსაქმოდ, — ამბობენ ჩამომყალიბებელ საამქროს სტახანოველები ამხ. ერმინე კერესელიძე, ალექსი ეკალაძე და სხვები.

ორდენოსანი ამხ. ვარდენ ჯაგაევი მუშაობს „გეგენშაიტის“ დაზგაზე საბორბლო სახარატო საამქროში. ამხ. ჯაგაევი ხშირად სცდება ხელსაწყო-იარაღების სიმცირისა და უვარგისობის გამო.

უსულგულო მუშაობის შედეგად იანვარში № 734-99 ორთქლმავალი შვიდჯერ გაგზავნეს სასინჯ გადარბენაში, №737-16 და 704-55 ორთქლმავლები კი ოთხჯერ, და ძლივს ეღირსათ შეკეთების დამთავრება. № 5060 ორთქლმავლის ბორბლებს მოკლე თითი გაუკეთეს, რის გამო საჭირო გახდა ორთქლმავლის ორჯერ აწევა-დაშვება.

შემდუღებელ საამქროს უფროსის ამხ. ისაკი იუზბაშევის მოუქნელი მუშაობით № 6462, 538 და 913 ორთქლმავლები სამ-სამი დღით გვიან გაუშვეს შეკეთებიდან.

აი სწორედ ამგვარი მუშაობის შედეგია, რომ ქარხანამ იანვარში 30 ორთქლმავლის ნაცვლად რკინიგზას მხოლოდ 16 ორთქლმავალი მისცა. თებერვალში ქარხანას უნდა შეეკეთებინა 37 ორთქლმავალი. ფაქტიურად კი შეაკეთა და საექსპლოატაციოდ გადასცა გზას 23 ორთქლმავალი. მარტში ქარხანამ უნდა შეაკეთოს 41 ორთქლმავალი. ის ქარხნის კოლექტივისაგან და განსაკუთრებით კი ამწყობ საამქროსაგან სერიოზულ მუშაობას მოითხოვს.

ქარხანას ჰყავს 1.421 სტახანოველი, ათასზე მეტი დამკვრელი, 104 სტალინური დამკვრელის საპატიო ნიშნოსანი, მათ შორის ხუთი ორდენოსანი. ქარხნის ხუთიათასიანი კოლექტივის ამოცანაა: გაამახვილოს რევოლუციური სიფხიზლე, იმუშაოს უკეთესად, აღმოფხვრას წუნი და განმეორებითი შეკეთების შემთხვევები. გამოიცნოს მტერი, უქნარები, მცონარები, დაეუფლოს ტექნიკას, აიმაღლოს პოლიტიკური ცოდნის დონე, ისე წარმართოს საქმე, რომ წლის პირველ ნახევარში დაჰფაროს დავალიანება და 1937 წელი გადააქციოს ახალი გამარჯვებათა წელიწადად.

ქარხანა საქმით უნდა გამოეხმაუროს დონბასის მაღაროელთა და მეტალურგთა მოწოდებას. დიდი სტალინის სახელობის ქარხანა — გიგანტის კოლექტივი უკლებლივ უნდა ჩაებას ორჯონიკიძის სახელობის ლაშქრობაში, ზარდოს სტახანოველები, დამკვრელები, რათა ქარხანამ თავი დააღწიოს სამარცხვინო ჩამორჩენას.

დ. ჯღარკავა.

სასოფლო საბჭო, რომელიც მასობრივ მუშაობას გაურბის

(ბათომი, „კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტისაგან)

თხილნარის (აჭარა) სოფსაბჭოში სოფლის მეურნეობის ყველა სამუშაოთა გეგმები 1936 წელს 100 პროცენტით შესრულა. კერძოდ მანდარინის გაშენების გეგმა 300 პროცენტითაა შესრულებული. მიუხედავად ასეთი წარმატებებისა, ამ სოფსაბჭოს ბევრი სერიოზული ნაკლიც აქვს.

გეგმა ხომ შევასრულეთ, რაღა ნაკლოვანებაზე შეიძლება ლაპარაკი? — ფიქრობს სოფსაბჭოს თავმჯდომარე ამხ. ჩამოღლი.

ამხანაგი ჩამოღლი არ არის მართალი, დავასახელოთ ფაქტები: მასობრივი და პოლიტიკურ - აღმზრდელობითი მუშაობა ვერ არის გაშლილი, სოფლის საბჭოს პლენუმებს რეგულარულად არ იწვევენ, დამსწრეთ არ აღრიცხავენ, პლენუმის გაფართოვებულ სხდომებს სრულებით არ იწვევენ, იყო საბჭოთა დემოკრატიის დარღვევის შემთხვევაც.

ამომრჩეველთა განაწესებს აქ ყურადღებას არ აქცევენ.

შემოწმების დროს აღმოჩნდა, რომ სექციები ქაღალდზე არსებობდნენ, არავითარ მუშაობას არ ეწეოდნენ. ასევე არაფერს აკეთებდნენ კოლმეურნეობებთან არსებული სადეპუტატო ჯგუფები, ხოლო საბჭოთა მეურნეობასთან სადეპუტატო ჯგუფები ჩამოყალიბებულიც არ იყო.

სკოლებს, სამკითხველოებს, მედპუნქტებს და წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლებს სოფლის საბჭო სუსტ დახმარებას უწევდა, სარევიზიო კომისია ამ მდგომარეობას გულხელდაკრეფილი შეჰყურებდა და არავითარ ზომებს არ ღებულობდა. თხილნარის კოლმეურნეობებში მთელ რიგ დამახინჯებებს ვხვდებით. სოფსაბჭო არ დაინტერესებულა კოლმეურნეობათა მდგომარეობის შესწავლით ამხანაგ ლ. ბერიას მოხსენების შემდეგაც კი.

საქ. კ. პ. (ბ) აჭაროლქკომის ბიურომ აღნიშნა, რომ რაიაღმასკომი და პარტრაიკომი თხილნარის სოფლის საბჭოს სუსტად ხელმძღვანელობდნენ და შეიმუშავა მთელი რიგი კონკრეტული ღონისძიებანი, რითაც უზრუნველყოფილ უნდა იქნას თხილნარისა და მთელ ბათომის რაიონში არსებულ სოფსაბჭოების მუშაობის გამოცოცხლება.

„სასოფლო საბჭო სოფლის პატრონია; მას აქვს დაკისრებული პასუხისმგებლობა კოლმეურნეობათა მდგომარეობისათვის. იქ, სადაც კარგი სასოფლო საბჭოა, სადაც სასოფლო საბჭოს კარგი თავმჯდომარეა, კოლმეურნეობებიც ძლიერნი არიან“. — ამხ. ლავრენტი ბერიას ეს მითითება აჭარის ბევრ სასოფლო საბჭოს ჯერ კიდევ ვერ შეუგნია. ისინი სუსტად იბრძვიან მოწინავე სოფლის საბჭოს საპატიო სახელწოდებისათვის. ეს ნაკლოვანებანი მათ დაუყოვნებლივ უნდა გამოასწორონ.

შ. ფურცხვანიძე.

ს. მინდაძე

საქ. კ. პ. (ბ) კასპის რაიკომის მდივანი

კასპის ცემენტი

ბევრს წაუკითხავს მწერალ თედორე გლადკოვის შესანიშნავი რომანი „ცემენტი“. ბევრს გაუგონია და უნახავს ცემენტი, მაგრამ ზოგი მათგანი არ იცნობს ცემენტის ტექნოლოგიურ პროცესს.

ცემენტი საამშენებლო მასალაა, ურომლისოდ სერიოზული დიდი მშენებლობის წარმოება შეუძლებელია. ცარიზმისა და მენშევიკების დროს ჩვენ არ გვქონდა ცემენტის წარმოება. მაშინ ცემენტს უმთავრესად რუსეთიდან, კერძოდ ნოვოროსიისკიდან ეზიდებოდნენ.

ახლა ამიერ-კავკასიაში ცემენტის სამი ქარხანაა: აზერბეიჯანში, სომხეთში და საქართველოში. საქართველოს ცემენტის ქარხანა ეს არის კასპის ქარხანა. იგი პირველი სტალინური ხუთწლედის პირმშოა.

სოფელი კასპი, რომელსაც წინათ მხოლოდ გორის ყოფილი მაზრის მცხოვრებნი იცნობდნენ, ახლა თავისი მაღალხარისხოვანი ცემენტით ცნობილია მთელი საბჭოთა კავშირისათვის.

იქ, სადაც წინათ ქარის გამუდმებული ღმუილი ისმოდა, ახლა ღუმელების გრუხუნი, ქვაბების გუგუნი და საყვირის დროგამოშვებით ყიჟინა გაისმის. აქ 785-მდე მუშა მუშაობს.

ცემენტმა შორს გაუთქვა სახელი კასპს და ის რაიონულ ცენტრად გახადა. წინათ მოსახლეთა თითზე ჩამოსათვლელი რიცხვი ახლა დღითიდღე სწრაფად იზრდება.

კასპი რადიკალურ ცვლილებას განიცდის. მოსახლეობა მიწური სახლებიდან გამოვიდა და მშვენიერ სახლებს იშენებს.

კასპში აშენდა სახელმწიფო ბანკის, ფოსტა-ტელეგრაფის, მტს-ის, შემნახველ სალაროს, წყალთა მეურნეობის ახალი შენობები. და თვით ქარხნის მუშებისათვის 8 ორ - სართულიანი საცხოვრებელი სახლი. 8 კილომეტრის მანძილიდან გამოყვანილ იქნა ცივი ანკარა წყარო. დაწესებულებები და საცხოვრებელი ბინები ელექტრონის შუქმა გაანათა. საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 16 წლისთავზე საზეიმოდ გაიხსნა სოციალისტური რეალიზმის სტილზე აგებული ორსართულიანი საავადმყოფოს შენობა. კასპში საკმაოდ გაიშალა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ქსელი: ბიბლიოთეკა, რადიო, ტელეფონი, სტამბა, პარტკაბინეტი, და სხვადასხვა სასწავლებლები.

კასპის, როგორც საამშენებლო მასალათა რაიონის მნიშვნელობა, დღითიდღე იზრდება. ამ ქარხნის პროდუქცია ოდნავადაც ვერ აკმაყოფილებს გაზრდილ მოთხოვნილებებს. ამიტომ კასპში იწყება ცემენტის ქარხნის მეორე რიგის მშენებლობა. მალე კასპში უნდა აშენდეს მეორე ისეთივე ქარხანა, როგორიც ახლა გვაქვს. სპეციალისტების დასკვნით ნედლეულის ბაზა ორივე ქარხნისათვის 25 წელიწადს გვეყოფა. კასპს განვითარების უფრო დიდი პერსპექტივა აქვს. არსებობს პროექტი, რომ კასპის ცემენტის ქარხანასთან აშენდეს ეტერნიტის ქარხანა, რომელიც მაღალხარისხოვან სახურავს — „ეტერნიტს“ მოგვცემს. ამ მასალის ნაკლებობას ჩვენ დიდად განვიცდით.

გარდა ამისა არსებობს პროექტი, რომ არსებული ქარხნის გვერდით აშენდეს კიდევ ერთი ქარხანა — ცემენტის მილების ქარხანა. ეს ქარხანა მოგვცემს მილებს წყალსადენისა და კანალიზაციისათვის. მაგრამ ვერც ეს ამოსწურავს კასპის, როგორც საამშენებლო მასალათა რაიონის, პერსპექტივას.

ამ ცოტა ხნის წინათ კასპიდან 20 კილომეტრის დაშორებით მდ. თეძამის მიდამოებში აღმოჩენილ იქნა ძვირფასი საამშენებლო მასალა — თეძამის ტუფი. მისი უპირატესობა ისაა, რომ იგი მკვრივი და მჩატეა. ფერად თეთრია. ეს მასალა თბილისთან ახლოსაა და უდიდეს დახმარებას გაუწევს მშენებლობებს. თეთრი ტუფი თეძამის მიდამოებში ბლომად მოიპოება და მისი მარაგი სავსებით დააკმაყოფილებს თბილისის მშენებლობას 30 წლის განმავლობაში.



კასპის ცემენტის ქარხანასთან ახლოს ქეჩარუხზე შენდება ახალი სოციალისტური ქალაქი. სურათზე: კასპის ახლად აშენებული საავადმყოფო. ფოტო რ. აკოფოვისა

ამრიგად, რამდენიმე ხნის შემდეგ, კასპი საამშენებლო მასალათა წარმოების რაიონად ჩაითვლება. იგი უხვად მოგვცემს ცემენტს, ეტერნიტს, მილებს და იაფფასიან თეთრ ტუფს. ყველა ამ საწარმოში დაახლოვებით 5-6 ათასი მუშა იმუშავებს და წინანდელ კასპს 15-20 ათასი მცხოვრები შეემატება.

იმ ტერიტორიას, რომელიც ახლა კასპს უჭირავს გაფართოვების პერსპექტივა არა აქვს. ამიტომ მიზანშეწონილად არის ცნობილი კასპში არსებულ და მომავალ დიდ მშენებლობებთან და ქალაქის მცხოვრებთა რიცხვის სწრაფ ზრდასთან დაკავშირებით გაშენდეს ახალი სოციალისტური ქალაქი თბილისის მიმართულებით რკინიგზის მარცხენა მხარეზე — ქეჩარუხზე. ეს ადგილი აღაიანის მაღალ მთიან კალთებზე მდებარეობს. მისი რელიეფი სავსებით ხელსაყრელია ახალი ქალაქის გაშენებისათვის. ამ ადგილას მშენებლობა უკვე დაიწყო. აშენდა ორსართულიანი მხატვრულად გაფორმებული საავადმყოფო. აგებულია 8 თითო ორსართულიანი საცხოვრებელი სახლი, მშენებლობის პროცესშია ორი დიდი სამსართულიანი საცხოვრებელი სახლი. გაყვანილია წყალსადენი და სხვ. 2-3 წლის შემდეგ ჩვენ გვექნება ლამაზად მოწყობილი სოციალისტური ქალაქი — ქეჩარუხი.

ახალი სოციალისტური ქალაქის მშენებლობასთან დაკავშირებით წამოიჭრა რკინიგზის ახალი სადგურის აშენების საკითხი. ამიერ-კავკასიის რკინიგზაზე ვერ ნახავთ ისეთ უბადრუკ, უხეირო, მოუწყობელ სადგურს როგორიც ჩვენი კასპია.

კასპის სადგურის შენობა აგებულია მე-19 საუკუნის დასასრულს. მაშინ სადგური, რა თქმა უნდა, აკმაყოფილებდა მცირერიცხოვან მგზავრებს. მაგრამ ახლა კასპი სულ სხვაა. მას შემდეგ დიდი ცვლილებები მოხდა ეკონომიკასა და ადამიანთა ურთიერთობაში, მაგრამ კასპის სადგურის შენობა უცვლელად დარჩა. კასპის სადგური მომსახურებას უწევს კასპის რაიონის დიდ ნაწილს და სამხრეთ-ოსეთის ლენინგორის რაიონს მთლიანად, დაახლოვებით 25 ათას მცხოვრებს. ეს რიცხვი 3-4 წლის შემდეგ ერთიორად გაიზრდება. ამჟამად კი სადგურს გარდა ორი სამუშაო ოთახისა, არაფერი გააჩნია. მგზავრები თოვლსა და წვიმაში ელოდებიან მატარებლებს. ამ სამარცხვინო მდგომარეობას ამიერ-კავკასიის რკინიგზების დირექციამ სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციოს. საჭიროა საჩქაროდ დაიწყოს რკინიგზის ახალი სადგურის მშენებლობა ქეჩარუხზე.

კასპის არსებული სადგური კი თავისი გზებით გამოყენებულ უნდა იქნას ცემენტის ქარხნის და მომავალი საწარმოების სატვირთო ოპერაციებისათვის.

როგორც ვხედავთ, კასპს ბრწყინვალე პერსპექტივა აქვს და ამ პერსპექტივას მას ძირითადად ცემენტი აძლევს.

ამხანაგ სტალინის სახელობის კასპის ცემენტის ქარხანა ექსპლოატაციაში შევიდა 1930 წელს. 1936 წლის აპრილამდე ქარხანა საქართველოს ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის სისტემაში შედიოდა. 1936 წლის 1 აპრილს იგი გადაეცა ცემენტის საკავშირო მრეწველობის ცენტრს — „სოიუზცემენტს“ რომელიც უშუალოდ მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის სისტემაში შედის.

ცემენტის ქარხნის ნედლეულ ბაზას წარმოადგენს ქვაკირი, რომელიც წყლის საშუალებით თიხას ერევა და შლამად იქცევა. შლამი გავარვარებულ ღუმელებში მიემართება და 300-400° ტემპერატურაში იწვის. ვღებულობთ გამომწვარ შლამს ანუ კლინკერს. კლინკერს 10-დან 30%-მდე თეძამის ტუფი და თაბაშირი (ალებასტრი) ემატება და კლინკერი, „თეძამის“ ტუფის ფერფლში შერეული, წისქვილებში დასაფქვავად მიემართება. წისქვილებში კლინკერის დაფქვის შემდეგ ვღებულობთ დაფქულ კლინკერს, ანუ ცემენტს. მთელი ეს პროცესი მექანიზებული წესით სწარმოებს. ქარხანა ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვითაა აგებული.

წარმოების ნედლეული ბაზა — ქვაკირი და თიხა — ქარხნიდან დაშორებულია 3-4 კილომეტრით. ნედლეულის ტრანსპორტირება საჰაერო გზით ხდება.

ქარხანა შარშანდლამდე არარენტაბელური იყო, ხოლო სტახანოვური მოძრაობის ფართოდ დანერგვით, პარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველდღიური დახმარებითა და ხელმძღვანელობით მან გასული წელი 268.500 მანეთის მოგებით დაამთავრა.

შარშან ქარხანას გეგმით უნდა გამოეწვა 120.000 ტონა კლინკერი, ფაქტიურად გამოსწვა 126.600 ტონა, გეგმა შესრულა 105,5%-ით, უნდა მოეცა 140.000 ტონა ცემენტი, ფაქტიურად მოგვცა 131372 ტონა გეგმის 93,8%. ამრიგად, ქარხანამ დაგვაკლო 9.000 ტონა ცემენტი. რა თქმა უნდა, მთავარი მიზეზი გეგმის შეუსრულებლობისა თვით ქარხნის ხელმძღვანელობაა. გეგმის შესრულებას ხელი შეუშალა საწვავი მასალის უქონლობამ. ამის გამო ქარხანა გასცდა 452 საათს, ელექტრო-ენერგიის უქონლობის გამო გაცდენა უდრის 310 საათს. კლინკერის დაფქვას აფერხებდა აგრეთვე თეძამის ტუფის ფერფლის სისველე; მისი საშრობი დოლი გვიან მიიღეს.

გაუმჯობესდა პროდუქციის ხარისხი. გეგმით ქარხანას დაბალი ხარისხის ცემენტი, ანუ როგორც მას 250 მარკის ცემენტს უწოდებენ, უნდა გამოეშვა არა უმეტეს 25 პროცენტისა, ფაქტიურად კი ქარხანამ ამ მარკის ცემენტი გამოუშვა 6 პროცენტი, ხოლო 94 პროცენტი მაღალხარისხოვანია.

გეგმით ტონა ცემენტის თვითღირებულება გათვალისწინებული იყო 43 მან. 08 კაპ. ფაქტიურად ტონა ცემენტი დაჯდა 45 მან. და 80 კაპ. ქარხნის ხელმძღვანელობის გადაუდებელი ამოცანაა — ბრძოლა ცემენტის თვითღირებულების შემცირებისა და შრომის ნაყოფიერების გაზრდისათვის.

ქარხნის ხელმძღვანელობის, პარტიული და უპარტიო ბოლშევიკების ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ მიმდინარე წელს გადაჭარბებით შესრულდეს ცემენტის გამოშვების გეგმა, განაღდებულ იქნას გასული წლის დავალიანება და გაჩაღდეს ბრძოლა 300 მარკის ცემენტის გამოსაშვებად.

თუ ქარხანაში 1936 წლის 1 იანვრისათვის მხოლოდ 17 სტახანოველი იყო, ახლა 171 სტახანოველია. ამათში 31 კომუნისტია, 32 კომკავშირელი, 5 თანამგრძნობი, დანარჩენი უპარტიოები.

ქარხანას მრავალი წარჩინებული დამკვრელი და სტახანოველი ჰყავს. მაგალითად: ნიკოლოზ კოსტიკოვი (ქარხნის მეავურე) 1936 წელს მას უნდა გამოეშვა 2580 ცალი ცემენტის აგური, ფაქტიურად გამოუშვა 3333 ცალი, — 129,1 პროცენტი. თუ 1936 წელს მისი საშუალო თვიური ხელფასი 215 მანეთს უდრიდა. 1936 წელს საშუალო ხელფასმა 600 მანეთს მიაღწია.

დიმიტრი მამოლინი (ცემენტის გამომწველი) 1936 წელს მას უნდა გამოეწვა 28.998 ტონა კლინკერი. ფაქტიურად გამოსწვა 31.666,5 ტონა, გეგმა შესრულა 109,2 პროცენტით. თუ 1935 წელს მისი საშუალო თვიური ხელფასი უდრიდა 218 მანეთს, 1936 წლეს 522 მანეთამდე ავიდა.

ზაქრო ბაინდურაშვილმა 1936 წელს 28.998 ტონა კლინკერის ნაცვლად გამოსწვა 31.666,5 ტონა, გეგმა შესრულა 109,5 პროცენტით, თუ მუშაობის სტახანოვურ მეთოდზე გადასვლამდე თვიურად 218 მანეთს იღებდა, ახლა 522 მანეთს იღებს.

გიორგი ტატიაშვილი (მეწისქვილე) კომუნისტია 1930 წლიდან, შარშან 10488 ტონა დაფქული ნახშირის ნაცვლად მოგვცა 11.803 ტონა, გეგმა შესრულა 112,5 პროცენტით, ხელფასს იღებს 415 მანეთს.

ვასილ ჯარმელაშვილიც მეწისქვილეა. პარტიის წევრობის კანდიდატია 1932 წლიდან, საათში 23 ტონა შლამის ნაცვლად საშუალოდ 28 ტონას იძლევა, სტახანოვურად მუშაობის შემდეგ ხელფასს ღებულობს 365 მანეთს.

ლევან მერებაშვილი (წარმოების მორიგე) — კომუნისტია 1930 წლიდან, 1936 წელს უნდა მოეცა 28.998 ტონა კლინკერი და 10488 ტონა დაფქული ნახშირი, ფაქტიურად გამოუშვა 31.666,5 ტონა კლინკერი და 11803 ტონა ნახშირი, სტახანოვურ მოძრაობამდე თვეში იღებდა 300 მანეთს, ახლა აკეთებს 750 მანეთს.

ცემენტის ქარხნის ადმინისტრაციამ, ქარხნის პარტიულმა და უპარტიო ბოლშევიკებმა სტახანოვური მოძრაობის კიდევ უფრო გაშლით, რევოლუციური კლასობრივი შემტევი სიფხიზლის გამახვილებით, 1937 წლის გეგმა გადაჭარბებით უნდა შეასრულონ.

◆

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვამზადებთ პროპაგანდისტთა კვალიფიციურ კადრებს

ი. რუხაძე

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის პარტიული პროპაგანდისა და აგიტაციის განყ. გამგის მოადგილე

პარტიული პროპაგანდის დაყენებაში გადამწყვეტ ფიგურას, როგორც ცნობილია, პროპაგანდისტი წარმოადგენს.

პროპაგანდისტს შეთვისებული უნდა ჰქონდეს მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის დიადი თეორია, იგი საფუძვლიანად უნდა იცნობდეს საქ. კ.პ. (ბ) გმირულ ისტორიას, დაუფლებული უნდა იყოს ბოლშევიკური პროპაგანდის ხელოვნებას. მისი მაღალი იდეურობა და კულტუროსნობა უზრუნველჰყოფს პარტიული სწავლების მაღალ ხარისხს და პარტიული წრეების მსმენელთა ბოლშევიკურად აღზრდას.

საქ. კ.პ. (ბ) თბილისის კომიტეტი თავის მუშაობაში პარტიული პროპაგანდის ხაზით ძირითად ყურადღებას აქცევს პარტიული სწავლების ხარისხის ამაღლებას, ხელმძღვანელობს რა ამხ. ბერიას მითითებებით საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მეექვსე პლენუმზე.

მიუხედავად შესამჩნევი მიღწევებისა, სწავლების ხარისხი თბილისის პარტიულ ორგანიზაციაში ჯერ კიდევ ჩამორჩება იმ გაზრდილ მოთხოვნებს, რომლებსაც პარტია გვიყენებს.

ჩვენი პროპაგანდისტის უმრავლესობას სპეციალური პარტიულ-პოლიტიკური განათლება არა აქვს. მათი პოლიტიკური მომზადება ხორციელდებოდა დამოუკიდებელი მუშაობით თავის თავზე, ხშირად ისე, რომ არ ჰქონდათ მტკიცე გეგმა, ცოდნას იძენდნენ ნაწყვეტ-ნაწყვეტად, უმნიშვნელოვანესი თეორიული საკითხების ყოველმხრივ და ღრმად შეუსწავლელად, რის შედეგადაც ასეთი პროპაგანდისტების თეორიული დონე თვალსაჩინოდ ჩამორჩებოდა იმ მაღალ მოთხოვნებს, რომლებსაც ამჟამად პარტია გვიყენებს.

ხელმძღვანელობს რა საქ. კ.პ. (ბ) ც. კ-ისა და საქართველოს კ.პ. (ბ) ც. კ-ის გადაწყვეტილებებით, თბილისის კომიტეტმა დიდი მუშაობა გააჩაღა ამ მიმართულებით; 1936 წელს ლ. კეცხოველის სახელობის პროპაგანდისტისა და აგიტატორის სახლში მოეწყო პროპაგანდისტთა 1½-წლიანი სკოლა (წარმოებისაგან მოუწყვეტლივ) 150 კაცისათვის. ეს სკოლა თავის მუშაობას 1937 წლის ივლისში ამთავრებს.

უნდა აღინიშნოს, რომ სკოლამ თვალსაჩინოდ აამაღლა ჩვენი წრეების მუშაობის იდეური დონე. თბილისის კომიტეტის ბიუროს დადგენილებით რეორგანიზებულია პროპსემინარების მუშაობა; სემინარები თვეში სამჯერ იკრიბებიან და დიდ დახმარებას უწევენ პროპაგანდისტებს წრეების პროგრამის უმნიშვნელოვანესი თემების გაღრმავებულად შესწავლაში.

ლ. კეცხოველის სახელობის პროპაგანდისტისა და აგიტატორის სახლში და რაიკომების პარტკაბინეტებში გაშლილია დიდი მუშაობა პროპაგანდისტებისათვის წრეების პროგრამის სხვადასხვა საკითხებზე თეორიული მოხსენებების, ლექციებისა და კონსულტაციების ჩასატარებლად, ახალი კონსტიტუციის შესახებ ამხანაგ სტალინის მოხსენებისა და ამხ. ბერიას მოხსენების: „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“ შესასწავლად.

კვალიფიციურ პროპაგანდისტთა მომზადებაში უაღრესად დიდი მნიშვნელობის მქონე დადგენილებას წარმოადგენს თბილისის კომიტეტის ბიუროს უკანასკნელი გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ თბილისში გაიხსნას პროპაგანდისტთა 6-თვიური სკოლა წარმოებისაგან მოწყვეტით — 125 კაცისათვის. ასეთი სკოლა თბილისში პირველად იხსნება.

თბილისის კომიტეტის გადაწყვეტილებით სკოლაში გაგზავნილი არიან შემოწმებული კომუნისტები, მეტნაწილად პროპაგანდისტები (75 კაცი), რომლებიც სკოლაში სწავლის პერიოდში თავის პროპაგანდისტულ მუშაობას განაგრძობენ.

პროპაგანდისტთა გარდა, სკოლაში ჩარიცხული არიან საუკეთესო აგიტატორები, რომლებსაც დამთავრებული აქვთ აგიტატორთა კურსები თბილისის კომიტეტთან, პარტკომების ყოფილი მდივნები, ალკკ კომიტეტების მდივნები და სხვ.

სკოლაში ჩარიცხულ პროპაგანდისტთა რიცხვიდან მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ ამხ. გ. ასლამაზოვი — კიროვის რაიკომის ერთ-ერთი საუკეთესო მუშა პროპაგანდისტი (ფეხსაცმლის ფაბრიკა №1), ამხ. ვ. ლეჟავა — ტრიკოტაჟშენის პარტკაბინეტის გამგე, პროპაგანდისტი, რომელსაც დამთავრებული აქვს პარტმუშაკთა კურსები მოსკოვში და ამჟამად სურვილი განაცხადა ისწავლოს სკოლაში თავისი თეორიული ცოდნის ასამაღლებლად, ამხ. ბიგვავა — სათადარიგო პროპაგანდისტი, სწავლობდა მოსკოვში სვერდლოვის სახელობის უნივერსიტეტში (პირველი კურსიდან), ამხ. ფასურიშვილი — მაუდის ფაბრიკის ოსტატი, პროპაგანდისტი, დამთავრებული აქვს პარტაქტივის ბორჯომის კურსები, ამხ. ცარელიანი — თბილკვებვაჭრობის სატრანსპორტო განყოფილების პარტკომის მდივანი, ამხ. შერმაზანაშვილი — პროპაგანდისტი და ლიქიორის ქარხნის პარტკომის ყოფილი მდივანი, ამხ. ივანოვა.

მსმენელთა უდიდეს უმრავლესობას მიღებული აქვს განათლება საშუალო სკოლის ან შვიდწლედის ფარგლებში, მათ თავი გამოიჩინეს პროპაგანდისტულ და საგიტაციო მუშაობაში და დიდი სურვილი აქვთ მიიღონ პარტიულ-პოლიტიკური განათლება.

ენობრივი პრინციპის მიხედვით მსმენელნი განაწილებული არიან 3 სექტორად: 3 ქართულ ჯგუფი ისწავლის 75 კაცი, სომხურ ჯგუფში — 25 და რუსულ ჯგუფში — 25 კაცი.

მოწვეული არიან კვალიფიციური ლექტორები — პროფესორები, დოცენტები და უმაღლეს სასწავლებელთა მასწავლებლები (ამხ. კვიცარიძე, ნ. მახარაძე, ა. ქუთელია, ტ. ათაბეკოვი, სუმაროკოვი, თავაძე, გრ. ჟღენტი და სხვ.).

სასწავლო გეგმა ნავარაუდევია 900 საათისათვის. სკოლაში ისწავლება შემდეგი საგნები: საქ. კ.პ. (ბ) ისტორია, ლენინიზმი, პოლიტეკონომია, სსრ კავშირის ისტორია, გეოგრაფია, სსრ კავშირის ახალი კონსტიტუცია, დედა-ენა, რუსული ენა, პარტპროპაგანდა და აგიტაცია.

მეცადინეობა სწარმოებს დღისით, ხოლო საღამოები დათმობილი აქვს მსმენელთა დამოუკიდებელ მუშაობას.

მეცადინეობა უკვე დაიწყო.

სკოლის მუშაობის დამთავრების შემდეგ თბილისის პარტიული ორგანიზაცია მიიღებს პარტიული წრეების თეორიულად მომზადებული ხელმძღვანელთა ახალ კადრებს, რომელნიც გააუმჯობესებენ პარტიული სწავლების ხარისხს და ამით უზრუნველჰყოფენ უმნიშვნელოვანესი ამოცანების შესრულებას პროპაგანდისტული მუშაობის გაუმჯობესების დარგში.

კარგი მაგალითი

(გურჯაანი, „კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტისაგან)

საქმის სიყვარული, მონდომება, ნიადაგისა და ჰავის საუკეთესო თვისებები, პარტიისა და ხელისუფლების უდიდესი დახმარება—აი მევენახეობის განვითარებისათვის არსებული პირობები გურჯაანის რაიონში.

ამის შედეგია, რომ აქ ვენახის ფართობი 1930 წლის 160 ჰექტარიდან შარშან 3.900 ჰექტარამდე ავიდა, ხოლო უახლოეს 3—4 წელიწადში ის 10.000 ჰექტარამდე მიაღწევს, ნაცვლად სახელმწიფო გეგმით გათვალისწინებული 6.300 ჰექტარისა.

სწრაფად იზრდება მოსავლიანობაც—1934 წელს ჰექტარზე აქ საშუალოდ 45 ცენტნერი ყურძენი მიიღეს, შარშან—70 ცენტნერი, წელს კი, აღებული ვალდებულების მიხედვით, საშუალო მოსავალი 100 ცენტნერამდე იქნება აყვანილი.

აგროწესების რაც შეიძლება უკეთესად გამოყენება მუშაობის სტახანოვური მეთოდების რაც შეიძლება ფართოდ დანერგვა, მოკლე დროში უდიდეს გამარჯვებათა მიღწევა, ამ მიზნით გასული წლის შედეგების შეჯამება, არსებული მდგომარეობის კრიტიკა და ამოცანების დასახვა-გატარება—ეს საკითხები ჰქონდა განსახილველი ამ დღეებში გურჯაანის რაიონში მოწვეულ მყნობელ სტახანოველთა, მევენახე ბრიგადირებისა და კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების თათბირს.

კრებამ, რომელსაც მევენახეობის 250-ზე მეტი ენტუზიასტი დაესწრო, მოისმინა მიწგანის უფროსი მევენახე აგრონომის ამხ. ბიწაძის მოხსენება, კოლმეურნე-სტახანოველთა სიტყვები, შენიშვნები, წინადადებანი, აღებული ვალდებულებები.

კოლმეურნეობებმა შემოდგომაზე, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 125 ჰექტარისა, ვენახი 200 ჰექტარზე გააშენეს, წელს გაზაფხულზე კი 100 ჰექტარის ნაცვლად 117-ზე დარგავენ.

ასევე წარმატებით შესრულეს აქ პლანტაციის საზამთრო გეგმა—ნაცვლად 100 ჰექტარისა მოამზადეს 250. გარდა ამისა, კოლმეურნეობებმა ააგეს გეგმით გათვალისწინებული 5 სათბური, რაც საშუალებას იძლევა 3.040.000 ცალი ნამყენი მთლიანად სათბურებში იქნას გამოყვანილი და, ნაცვლად შარშანდელი 53,84 პროცენტი პირველხარისხოვანი ნამყენი ნერგისა (გეგმით გათვალისწინებული იყო 50 პროც.), წელს მიიღონ 70 პროცენტი.

ამ მიზნით რაიონში უკვე მოამზადეს და გადაამზადეს: მყნობელი 400, მევენახეობის ბრიგადირი—60, ვაზის მსხვლელი—250, სათბურში მომუშავე სპეციალისტი—5.

გარდა ამისა, გურჯაანის რაიონმა 1 მარტისათვის ძირითადად უკვე დაამთავრა: ვენახებისა და სადედეების შელობვა, რემონტი, მოხვნა-დაბარვა, გასხვლა, ნაკელის შეტანა, სარების დამზადება, მოიმარაგა სამყნობი და შესაწამლი მასალა, ფართოდ ატარებს აგროტექნიკურ თათბირებს. იბრძვის ყველა ნაკლოვანების აღმოსაფხვრელად, დარჩენილ სამუშაოთა დაჩქარებით მოსათავებლად.

თათბირზე გამოსული ს. ვეჯინის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. ვეჯიაშვილი კოლმეურნეობის სახელით პირობას იძლევა გეგმით გათვალისწინებული 200 ათასი ნამყენი დროულად დაამყნას, სამაგალითოდ მოუაროს მას და მიაღწიოს პირველხარისხოვანი ნერგის 80 პროცენტის გამოსავალს. ამავე კოლმეურნეობის სტახანოველი ამხ. სიბაშვილი კი პირობას სდებს მიაღწიოს ბერლანდიერის ჯიშის ვაზის საძირეზე დამყნილის გამოსავალს—70 პროცენტს, რიპარიაზე დამყნილისას—90 პროცენტს.

ასეთსავე ვალდებულებას კისრულობენ (80 პროც. საშუალო გამოსავალს) ველისციხის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი ხაჩატუროვი, „ახალი ცხოვრების“ (სოფ. კოლაგი) ბრიგადირი ბერიკაშვილი და რამდენიმე ათეული სხვა.

აღსანიშნავია თათბირზე გამოსული სტახანოველების ნაკისრი ვალდებულებანი: აბრია სიბაშვილისა და ნიკო ბეციაშვილის (სოფ. ვეჯინი, კიროვის სახ. კოლმეურნეობა), სოსო ხატიაშვილის (ს. ყოლაგი, „ახალი ცხოვრება“), ნიკა დანელიშვილის (ს. შრომა, კაგანოვიჩის სახ. კოლმეურნეობა) და სხვ. ყოველდღიურად დამყნონ 1500-ზე მეტი ვაზი და უზრუნველჰყონ 70 პროცენტზე მეტი პირველხარისხოვანი ნამყენის მიღება.

მეტად საყურადღებოა აგრეთვე მაღალი მოსავლის მიღების ოსტატთა ვალდებულებანი: მუკუზნის მევენახე ბრიგადირი გ. უზუნაშვილი პირობას იძლევა მიაღწიოს ჰექტარზე საშუალოდ 90 ცენტნერ ყურძნის მოსავალს, კარდანახის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი გულაშვილი, რომელსაც 15 ჰექტარი ვენახი აბარია, კისრულობს ურწყავზე მიიღოს საშუალოდ 140 ცენტნერი ყურძენი.

თითქმის ასეთსავე ვალდებულებას (ჰექტარზე 140 ცენტნერი საშუალო მოსავალი) იღებს კარდანახის „წითელი მარანის“ კოლმეურნეობის ბრიგადირი გ. ტეტელაშვილი, სოფ. გურჯაანის ოქტომბრის რევოლუციის სახ. კოლმეურნეობა (ამხ. ქავიშვილი)—100 ცენტნერს, ს. კარდანახის „პარიზის კომუნის“ კოლმეურნე ბრიგადირები ნანობაშვილი და ჩახვაშვილი—150 ცენტნერს, აგრეთვე მთელი რიგი სხვა ბრიგადირები და თავმჯდომარეები.

თათბირის მუშაობა შეაჯამა საქ. კ. პ. (ბ) გურჯაანის რაიკომის მდივანმა ამხ. კოპლამაზაშვილმა.

თათბირმა მიიღო ერთსულოვანი გადაწყვეტილება: გაატარონ გადამჭრელი ზომები ყველა დეფექტის უახლოეს დღეებში გამოსასწორებლად. ყველა კოლმეურნეს ახალი სპეციალური წრეებისა და საუბრების საშუალებით საუკეთესოდ შეასწავლონ მევენახეობის აგროწესები, არ დაუშვან მოუვლელი, უყურადღებო არცერთი ვენახი, თვალისჩინივით მოუარონ თვითეულ ვაზს.

დასასრულ, შეკრებამ გასული წლის სამუშაოთა განსაკუთრებული მაღალი ხარისხით, საუკეთესო მაჩვენებლებით შესრულებისათვის პატეფონებითა და სანადირო თოფებით დააჯილდოვა შემდეგი კოლმეურნეები: გ. ტეტელაშვილი, ვ. ხელაშვილი, აბ. სიბაშვილი, ს. გაიძვერაშვილი, მიხ. ტაბატაძე, გ. უზუნაშვილი, გ. ბათუხოვი, ნ. ბეციაშვილი და აკ. ნანობაშვილი.

თათბირმა მოწოდება - ანგარიშით მიმართა საქართველოს ყველა რაიონის ვაზის მყნობელებს და მევენახე ბრიგადირებს.

გურჯაანის რაიონმა მიაღწია მევენახეობის მთელ რიგ სამუშაოთა წარმატებით შესრულებას, ის წელსაც უზრუნველჰყოფს ახალ, სარეკორდო გამარჯვებათა მიღწევას,—ასეთია თათბირზე მიღებული შთაბეჭდილება.

ტრ. თოდრაძე.

თუ ასე გაგრძელდა...

(წერილი ყვარლის რაიონიდან)

უპასუხისმგებლობამ, უყაირათობამ, თანხების უკანონოდ ხარჯვამ ყვარლის რაიონში სკოლების მშენებლობის გაჭიანურება გამოიწვია.

1936 წელს საქართველოს განსახკომმა დაამტკიცა სოფ. გრემის და ალმატის დაწყებითი სკოლების მშენებლობის გეგმები და რაიონს ამ სკოლების ასაგებად 97.600 მანეთი გადაურიცხა. მშენებლობა 10 აგვისტოსათვის უნდა დამთავრებულიყო. ეს საქმე რაიონის მეორეხარისხოვან მუშაკებს მიანდეს. საფინანსო განყოფილების გამგე გრ. ხეცურიანი თვითონ დაეპატრონა მთავრობის მიერ სკოლის მშენებლობის საჭიროებისათვის მოცემულ თანხებს. „მშენებლობა მე მომანდეს, პასუხისმგებელი მე ვარო“, ასე გაიძახოდა იგი.

ხეცურიანის უმოქმედობის გამო 1 აგვისტოსთვის დასამთავრებელი სკოლები (გრემში და ალმატში) 17 დეკემბრისათვის სანახევროდ არ იყო აშენებული. მათ ასაგებად განკუთვნილი თანხებიდან კი ალმატის სკოლის მშენებლობაზე 17 დეკემბრისათვის დახარჯული იყო 16.550 მანეთი, ნაცვლად 39.600 მანეთისა დანარჩენი თანხა დაახლოვებით 23.000 მანეთი სხვა დანიშნულებას მოახმარეს და სკოლა უპატრონოდ მიატოვეს.

გრემის სკოლის მშენებლობაზე 17 დეკემბრისათვის დახარჯული იყო 21000 მანეთი, ნაცვლად 61000 მანეთისა. მშენებლობის გეგმა ამავე რიცხვისათვის 51 პროც. იყო შესრულებული. სკოლის შენობა ჯერ გადახურულიც არ არის.

ვერც განსახკომმა გამოიჩინა სასკოლო მშენებლობის საქმეში ოპერატიული ხელმძღვანელობა, დაკმაყოფილდა დირექტივებისა და გეგმების მიწოდებით. თუ ასე გაგრძელდა, სკოლები არც 1937 წელს გვექნება.

შ. ორაგველიძე.



თბილისის ბოტანიკური ინსტიტუტის სწავლული თანამშრომელი ამხ. სიხარულიძე ამუშავებს სამეცნიერო შრომას „საქართველოს სიმინდი“.

ფოტო კადეტოვისა („სოიუზფოტოს“ საქ. განყ.)

ი. კვირიკაძე

აღვკვეთოთ ცრუმეცნიერება!

მავნე პედოლოგიურ შეხედულებებს საკმაოდ გულმოდგინე დამცველი მწიგნობრები მოეპოვებოდა საქართველოში. პროფ. დ. უზნაძემ „უღალატა“ ფსიქოლოგიას პედოლოგიის სასარგებლოდ. საკუთარ თეორიასაც ჰქმნიდა ამ დარგში, მას მისდიეს მთელმა რიგმა მისმა მოწაფეებმა, ან უბრალოდ — თაყვანისმცემლებმა. როგორც ირკვევა, ეს გადაბარგება არ იყო რაიმე სიძნელესთან დაკავშირებული: პროფ. უზნაძე თავისი იდეალისტური არამეცნიერული ფსიქოლოგიურ-პედაგოგიური შეხედულებით სიხარულით გადასახლდა სწორედ იქ, სადაც „მეცნიერება“ თავისთავად ყალბ ნიადაგზე იყო აგებული. რაღა დააკავებდა სხვა კალმოსნებს — მათაც აქ მოიკალათეს, ზოგი მათგანი სრულიად სდუმს, ან უკან იტოვებს სათქმელს, ხოლო, ზოგიც იმედოვნებს იმით, რომ ის ჯერ არავის შეუმჩნევია და ა. შ. ამჟამად ჩვენ ეს უკანასკნელნი გვაინტერესებს.

ყურადღების ღირსია „ფსიქოლოგ“ ფ. ხარაზიშვილის მობრუნება პედოლოგიისაკენ (ხარაზიშვილმა ბეჯითად სთარგმნა ბურჟუაზიული ფსიქოლოგები, რაც ყოვლად დაუშვებელი ფორმით გამოსცა უნივერსიტეტმა პროფ. უზნაძის რედაქციით). თავის ვრცელ სტატიაში „პედოლოგია სკოლაში“, „ცნობილ გერმანელ ფსიქოლოგ ვ. შტერნზე“ დაყრდნობით. იგი მოგვიწოდებს: „ბავშვი უნდა შეამოწმოს პედოლოგიურმა ლაბორატორიამ“ („სკოლის მუშაკის თანამგზავრი“ 1934 წ. გვ. 203).

ხარაზიშვილს განსაკუთრებით აწუხებს დაკომპლექტების საკითხი და ეხება რა სკოლაში ორწლიანობას (ერთდაიმავე კლასში დარჩენის) საკითხს, იგი სწერს, რომ ამ მხრივ „პედაგოგიურ-პედოლოგიურ ლიტერატურაში არსებული გამოკვლევები უნუგეშო სურათს გვაძლევიანო“ (გვ. 192). მიუხედავად ამისა, ავტორი მაინც ცდილობს ნუგეში არ მოუკლოს და ამიტომაც ასეთ გამოსავალს გვთავაზობს: ორწლიანობას იწვევს „სიჭრელე ჯგუფში“, მაშასადამე, დაკომპლექტება მოითხოვს ამ სიჭრელის მოსპობას. „მას (ორწლიანობას ი. კ.) ბევრი მიზეზი აქვს, — სწერს ხარაზიშვილი — სუსტი ჯანმრთელობა, **მძიმე მატერიალური პირობები**, ცუდი წრე, გონებრივი განუვითარებლობა და მრავალი სხვა“ (გვ. 193). ამ ნიშნების საფუძველზე მოქ. ხარაზიშვილი მოითხოვს, რათა „თვითეულ ბავშვს მიეჩინოს მისი შესაფერისი ადგილი“ (გვ. 198).

კომენტარიები ზედმეტია. თვით ამ სიტყვების ავტორს „უნდა მიეჩინოს მისი შესაფერისი ადგილი“ მანვე პედოლოგიური „თეორიების“ მქადაგებელთა შორის!

დაწვრილებით აღარ შევჩერდებით იმ ამხანაგებზე, რომელთაც ერთ დროს ხოტბა შეასხეს უზნაძის „პედოლოგიას“, მაინც უნდა შევნიშნოთ არსებითად. ამხ. ალ. მოსიავა სიხარულიძესთან ერთად შემთხვევით არ უწოდებდა უზნაძის დასახელებულ წიგნს „მარქსისტულ-ლენინურს“. ის დამოუკიდებლად ამაზე ადრევე იბრძოდა იმათ წინააღმდეგ, ვინც „პედოლოგიის მნიშვნელობას ჩქმალავს“ და არ ესმის, რომ „პედოლოგია აღსაზრდელის განვითარების კანონებს სწავლობს“ (იხ. ალ. მოსიავას სტატია: „სასკოლო მუშაობის პედოლოგიზაციის ძირითადი ამოცანები“ ჟურნ. „კომუნისტური აღზრდისათვის“ 1933 წ. №№ 6 და 7).

მიუხედავად ამისა, ამხ. მოსიავა სდუმს, თითქოს არაფერი მომხდარიყო. ამხ. სიხარულიძეს რომ ვკითხოთ, მან „გადადგა“ ამ მხრივ ნაბიჯი. დამახასიათებელია ეს ნაბიჯი. წერილში თავისი „საკუთარი შეცდომების შესახებ“ იგი სწერს: „ამ პატარა წერილში ვეხები ჩემს **ერთ შრომას და რეცენზიას...**“ მორჩა და გათავდა (იხ. „კომუნისტური განათლება“ 1936 წ. 30 ოქტ.).

რა ვუწოდოთ ამას? ასეთი „საკეპნით“ თავს ნურავინ ირთობს!

რაკი სიტყვა ეხება მდუმარე პედაგოგებს, რა უფლება გვაქვს დავივიწყოთ „დაბადებით პედოლოგები“ ამხ. ფრანგიშვილი და დევდარიანი. ეს უკანასკნელი სხვებთან ერთად თავის დროზე მხილებულ იქნა „კომუნისტის“ ფურცლებზე. მას ყველაზე უფრო შეუძლია „იამაყოს“ თავისი წარსულით პედოლოგიაში. ნაბის და სხვების მავნებლურ შეხედულებებს იგი იცავდა ასეთი სიბრძნით: „პედოლოგიის, როგორც დამოუკიდებელ მეცნიერების თავისებურებას, ობიექტური დიალექტიკა განსაზღვრავს“ (იხ. მისი სტატია: „რა უშლის ხელს პედოლოგიურ მუშაობას“ ჟურნ. „კომუნისტური აღზრდისათვის“ 1935 წ. № 3).

ასეთივე ფილოსოფიური არგუმენტაციით ცდილობდა ამხ. ფრანგიშვილი კონკურენცია გაეწია დევდარიანისათვის. ქუთაისის პედინსტიტუტში მათ კათედრის არა ერთი და ორი სხდომა შეუწირავთ საკუთარი თავის რეაბილიტაციისათვის, სამართლიანი კრიტიკის წინააღმდეგ. ხელი ხელს ბანდა...

მიუხედავად ამისა, ეს ამხანაგებიც მჭერმეტყველურად სდუმან, მაგრამ არ სდუმან პრაქტიკული შედეგები, რომლებიც ასეთი თეორიული „სიბრძნის“ წყალობა იყო.

რამდენი დრო და ენერგია გაფლანგულა ე. წ. ტესტების მეთოდით მეტად საზიანო ვარჯიშობაში. (ამ ტესტების მეთოდის პოპულარიზაციისათვის განსაკუთრებული ჯაფა გასწია პრაქტიკაშიაც და ბეჭდვით სიტყვაშიაც ზ. ხოჯავამ). ბავშვებს აძლევდნენ ასეთ შეკითხვებს: „რა არის სიმართლე?, „გუშინ ერთი კაცი ბოტანიკურ ბაღში სეირნობდა, უცბად ერთ ადგილას შეჩერდა შეშინებული, შემდეგ მობრუნდა, იქვე მახლობელ სამილიციოში გაიქცა და განაცხადა, რომ ბაღში ხის ტოტზე მან დაინახა რაღაც... თოკით ჩამობმული... აბა გამოიცანი, რას დაინახავდა ხის ტოტზე?... „რატომ უფრო უნდა ვაპატიოთ დანაშაული იმ ადამიანს, რომელიც გაბრაზებულია, ვიდრე იმ ადამიანს, რომელიც არ არის გაბრაზებული?“... და ასე დაუსრულებლივ.

თუ ბავშვი ორი-სამი წუთის განმავლობაში ვერ გადასწყვეტდა მიცემულ კითხვებს, მაშინ მას სთვლიდნენ დებილად — გონებით ჩამორჩენილად, გამოუსწორებლად და გზავნიდნენ დებილთა სკოლებში. ამით ჩვენი ქვეყნის ბედნიერი ბავშვების საკმაო ნაწილს ეკარგებოდა ხალისი და ინტერესი სწავლისადმი.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 4 ივლისის დადგენილების რეალიზაციის მიზნით ე. წ. დებილთა სკოლებში ჩატარებულმა შემოწმებამ ნათელჰყო ამ დადგენილებით გათვალისწინებული ღონისძიებათა სრული დროულობა. მხოლოდ თბილისში არსებობდა დებილთა ოთხი სპეციალური სკოლა 729 მოწაფით. ამას გარდა, ნორმალურ სკოლებთან დებილთათვის ჩამოყალიბებული იყო დამხმარე კლასები, სულ 21 კლასი 217 მოწაფით. ეს ციფრები ნათლად მოწმობენ, თუ რას აკეთებდნენ ეს ცრუმეცნიერები თავიანთი მავნე კითხვარების საფუძველზე.

ყოფილი დებილი ბავშვები ამჟამად ნორმალურ სკოლებში კარგად სწავლობენ. მაგალითად, რკინიგზის მე-12 სკოლის მე-6 კლასის მოწაფე იულია გუგუშვილი 1935 წელს ცნობილი იყო დებილად. ახლა, ნორმალურ სკოლაში ჩარიცხვის შემდეგ კარგად სწავლობს. ასევე, მე-6 კლასის მოწაფე გულჩინა გრიგოლია, მიხეილ შერმაზაშვილი და სხვა მრავალი, რომლებიც პედლაბორატორიის მიერ ცნობილი იყვნენ დებილად, ამჟამად ნორმალურ სკოლაში სწავლობენ და პროგრამით გათვალისწინებულ საგნებს კარგად ითვისებენ.

მიუხედავად მნიშვნელოვანი მუშაობის ჩატარებისა ც. კ-ის დადგენილების რეალიზაციისათვის პრაქტიკულად ჯერ კიდევ ცოტა რამ გაკეთდა. განსაკუთრებით ეს შეიძლება ითქვას ჯანმრთელობის სახ. კომისარიატზე, სადაც ფართო გასაქანი ჰქონდა პედოლოგიას პედოლოგიური კაბინეტებისა და ლაბორატორიების მთელი ქსელით. სამედიცინო ინსტიტუტში სპეციალური „პროფილის“ შემოღებით სტუდენტებს უმთავრესად ასწავლიდნენ პედოლოგიურ დისციპლინებს, ხოლო სამედიცინო მეცნიერების ძირითადი დარგები მეორეხარისხოვნად იყო მიჩნეული. ექიმებმაც ისახელეს თავი პედოლოგიაში სპეციალური შრომების გამოქვეყნებით (სხვათა შორის, გოცირიძის უმსგავსო წიგნები ახლაც თავისუფლად იყიდება სახელგამის მაღაზიებში!).

საქართველოს განათლების კომისარიატის ხაზით მეცნიერულ-კვლევითი მუშაობა საბჭოთა პედაგოგიკის დარგში მეტად ჩამორჩენილი იყო და არის დღემდე. პედაგოგიურმა ინსტიტუტებმა და უმაღლესმა სასწავლებლებმა ჯერ კიდევ ვერ მოგვცეს პედაგოგიკის თეორიისა და პრაქტიკის ღრმად მცოდნე ახალგაზრდა კადრები. სუსტი მუშაობაა გაწეული ფსიქოლოგიის დარგშიც. ძალიან სუსტია ჩვენი ფსიქოლოგების სამსახური სოციალისტური მშენებლობის საქმეში. ბევრმა მათგანმა ჯერ კიდევ ვერ დააღწია თავი იდეალისტურ პოზიციებს. მაგალითად, როგორც ეს დადასტურდა, სახ. უნივერსიტეტის დოც. გ. ბაქრაძე თავის ლექციებში ანვითარებდა სრულიად არამარქსისტულ შეხედულებებს. ეს შემთხვევა გამონაკლისი არ არის.

ცრუმეცნიერულ პედოლოგიურ შეხედულებათა საბოლოოდ აღმოფხვრისათვის ჩვენში ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი, და უნდა გაკეთდეს კიდეც.



ალ. პუშკინი

ძუნწი რაინდი

ნაწყვეტი მე-2-ე სცენიდან

(სარდაფი)

ბარონი

(აპირებს სკივრის გაღებას)

ყოველთვის, როცა მინდა გავხსნა მე სკივრი ჩემი
შემიპყრობს თრთოლვა, არა შიში (არ მეშინიან,
აქა მაქვს ხმალი და ჩემს ოქროს ფოლადი იცავს).
გული მეკუმშვის, მიპყრობს რაღაც უცნობი გრძნობა.
ჩვენ მკურნალები გვიმტკიცებენ: არიან კაცნი,
მკვლელობაში რომ პოულობენ სიამოვნებას.
როცა გასაღებს ხელთა თრთოლვით საკეტში ვუყრი,
მე ვგრძნობ, რას უნდა განიცდიდნენ მაშინ ისინი.
როს მსხვერპლს უყრიან მკერდში დანას: სასიამოა
და საშიშარიც იმავე დროს (აღებს სკივრს)
აი განცხრომა!
(ჰყრის ფულებს)
ჩადით, გეყოფათ ხეტიალი თქვენ ქვეყანაზე,
ნუ ემონებით კაცთა ვნებებს და სიდუხჭირეს.
იძინეთ თქვენ აქ ძალისა და სიმშვიდის ძილით,
ვით ღმერთებს სძინავთ მიუღწეველ მთიებთ სიღრმეში.
მწუხრიან დღეს მე აქ ქეიფი გავმართო ჩემთვის,
ავანთებ სანთელს თვითეული სკივრის წინაშე.
სუყველას დავხსნი, ბრწყინავ ზოდებს დავუწყებ მზერას.
(ანთებს სანთლებს და ერთიმეორის შემდეგ ხსნის სკივრებს).
მე ვმეფობ!.. აი რა წარმტაცი ბრწყინვალებაა.
მე მმორჩილობს და ძლიერია ჩემი სამეფო,
მასშია ბედი, პატივი და დიდება ჩემი.
მე ვმეფობ, — მაგრამ ჩემსა შემდგომ კი ვინ მიიღებს
ძალაუფლებას სამეფოზე? — ჩემი მემკვიდრე
ის ქარაფშუტა, გამფლანგველი, ჭაბუკი ლაღი,
თანამოაზრე თახსირთა და მაწანწალათა.
როცა მოვკვდები ის, ის! გულდინჯად აქ ჩამოვა
ამ მშვიდობიან უტყვ და უხმო თაღების ქვეშეთ.
შემოუძღვება ხარბ ლაქუცა კარისკაცთა ბრბოს,
ჩემს გვამს მოჰპარავს გასაღებს და ხარხარით სკივრებს
დახსნის და მერე დენას იწყებს საუნჯე ჩემი
ფარჩა-ატლასის ძირგამომპალ ჯიბეთა შიგან.
იგი დალეწავს სალმრთო ჭურჭელს — გაანადგურებს
და მეფურ მირონს ბიწიერი ტალახით შესვრის.
იგი გაფლანგავს... მაგრამ რომელ' უფლების ძალით?
განა მე მუქთად მერგო წილად ეს ყველაფერი?
ან და ხუმრობით, ვით იღბლიან ყომარბაზს, ვინაც
ძვლებს აგორებს და დასტა-დასტას თვისკენ იხვეტავს?
ვინ იცის რამდენ უსიამო თავშეკავებად,
დამორჩილებულ ვნებებად და მძიმე ფიქრებად,
დღიურ ზრუნვად და ძილგატეხილ ღამეებად მე
ყველა ეს მიღირს. ან ძე იტყვის გულდამშვიდებით,
რომ გული ჩემი დაფარული იყო ხავსითა.
არა მქონია მე სურვილი ჩემს სიცოცხლეში
და არცა სინდისს ვუქეჯნივარ მე არასოდეს.
სინდისი, მხეცი ბრჭყალმახვილი გულის გამგმირი,
სინდისი, რაც სტუმარსა ჰგავს უპატიჟებელს,
მოლაყბე არის, მოვალეა უხეში იგი,
მისგან მთვარეც კი ფერსა ჰკარგავს და თვით საფლავებს
ერცხვინებათ და მიცვალებულთ გაასახლებენ.
არა, ჯერ თვითონ სწვნიე ტანჯვა გამდიდრებისა
და შემდეგ ვნახოთ, გაბედავს კი ის უბედური
გაფლანგოს იგი, რაც კი სისხლით შეუძენია.
ო, რომ შემეძლოს მე უღირსი თვალთახედვისგან
დავფარო რითმე ეს სარდაფი, ან საფლავიდან
შევიძლო მოსვლა მოდარაჯე აჩრდილის მსგავსად,
ჩამოვჯდე სკივრზე და ცოცხალთა შეხედვისაგან
დავიცვა ჩემი საუნჯენი როგორც ამჟამად.

თარგმანი ნიკ. თარხნიშვილის

სტალინური კონსტიტუციის არცერთი დარღვევა

ბორჩალო, 8 მარტი (საქდესი). 18 თებერვლის „პრავდის“ მოწინავეს — „საბჭოთა დაწესებულება და მთხოვნელები“ იხილავენ ბორჩალოს რაიონის პირველადი პარტორგანიზაციების კრებებზე. აშკარავდება სტალინური კონსტიტუციის დარღვევის მრავალი აღმაშფოთებელი ფაქტი.

უპირველეს ყოვლისა მას რაიაღმასკომის აპარატი არღვევს. 25 თებერვალს შაუმიანელი 2 მთხოვნელი ქალი დილიდან საღამომდე ელოდინეს სოცუზრუნველყოფის განყოფილების გამგის კართან, რომ ვერ ეღირსნენ გამგის ნახვას, დაბრუნდნენ უკან თავისი საქმის გადაუწყვეტლად. სოცუზრუნველყოფის განყოფილების გამგე ალი კალიაევი მთელ იმ დღეს ლოთობდა. უსულგულოდ ეკიდებიან კოლმეურნეთა განცხადებებს რაიმიწგანსა და მტს-ში. კაჩაგანის სოფლსაბჭოს ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობიდან სექტემბერში გარიცხეს 6 კაცი, ისინი აქამდე ვერ ეღირსნენ რაიმიწგანისა და მტს-ისგან თავისი საჩივრის პასუხს. თვეობით არის რაიაღმასკომის აპარატში უპასუხოდ კოლმეურნეთა ათობით შეკითხვები. უკეთესად საქმე არც რაიონულ პროკურატურაშია. 2-3 თვეობით აწყვია იქ უპასუხოდ გაზეთების რედაქციათა შეკითხვები.

რაიონის პარტიულმა ორგანიზაციამ მაგრად მოჰკიდა ხელი ამჟამად საბჭოთა დაწესებულებათა მუშაობის გარდაქმნის საქმეს. ამჟღავნებენ სტალინური კონსტიტუციის დამრღვევთ. ამის შედეგად საქმეების გარჩევა სასამართლოს ხაზით და რაიაღმასკომის განყოფილებებში ამ უკანასკნელ დღეებში დაჩქარდა.

◇ ◇ ◇

სავაჭროებს კონტროლს არ უწევენ

(ქუთაისი, კომუნისტის საკ. კორესპონდენტისაგან)

ქუთაისის სავაჭრო ორგანიზაციის კონტროლიორები თავს არ იწუხებენ თვეში ერთხელ მაინც დაათვალიერონ სავაჭროები. ქალაქის განაპირა უბანს (ზდანოვიჩის ქუჩა და ჭომა) ყურადღებას არავინ აქცევს. სწორედ ამის გამო ზოგიერთ სავაჭროში გამყიდველები არღვევენ ფასების პოლიტიკას, სისტემატურად ატყუებენ მომხმარებელს.

მაგალითად, ნინოშვილის ბაზარზე, საქვაჭრობის ფარდულში გამყიდველებმა მეგრელიშვილმა და იაკობიშვილმა ადგილობრივ ფაბრიკაში დამზადებული წუღები, რომელიც 11 მან. და 20 კაპ. ღირს, 27 იანვარს კოლმეურნე კოლუაშვილს და გუმბრინის მუშა კ. ჯიშკარიანს 28 მანეთად მიჰყიდეს. ეს გამყიდველები 16 მანეთად ღირებულ კაბას 42 მანეთად ჰყიდდნენ. ეს იშვიათი გამონაკლისი როდია. ასეთი შემთხვევები სხვა სავაჭროებშიაც ხდება, რასაც ადასტურებს ის, რომ ერთსადაიმავე საქონელს სხვადასხვა სავაჭროებში ხშირად საგრძნობლად განსხვავებულ ფასებში ჰყიდიან.

ფასების პოლიტიკის დამრღვევთ სასტიკი პასუხი უნდა მოეთხოვოს. ფართოდ გავშალოთ კულტურული ვაჭრობა. ძირშივე აღმოვფხვრათ სპეკულაციის ყოველგვარი ცდა, გამოვამჟღავნოთ და ვაჭრობის აპარატიდან განვდევნოთ ხალხის მტრები, მატყუარები, რომლებიც აქა-იქ ჯერ კიდევ იმალებიან. ქუთაისის სავაჭრო ორგანიზაციებმა დასახელებული მაგალითებიდან შესაფერი დასკვნები უნდა გააკეთონ.

ეგ. გვასალია.

ამბროლაურის რაიონის მოწინავე პარტიულ პროპაგანდისტთა ჯგუფი თბილისში
ფოტო რ. აკოფოვისა

ამბროლაურის პროპაგანდისტები თბილისში

პარტიულ-პროპაგანდისტული მუშაობის მოწინავე გამოცდილების გასაცნობად ამასწინათ თბილისში ჩამოვიდნენ ამბროლაურის რაიონის პროპაგანდისტები საქ. კ.პ. (ბ) ამბროლაურის რაიკომის კულტპროპგანყოფილების გამგის ამხ. მრელაშვილის ხელმძღვანელობით.

ამბროლაურის პროპაგანდისტები სამ დღეს დარჩნენ თბილისში, პირველ რიგში გულდასმით დაათვალიერეს ამხ. ლ. ბერიას ინიციატივით მოწყობილი სამხატვრო გამოფენა „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის". სამხატვრო გამოფენის კონსულტანტის დახმარებით პროპაგანდისტებმა ცალკეული სურათების გარშემო მიიღეს ვრცელი განმარტებანი ამხანაგ სტალინის მუშაობის შესახებ ამიერ-კავკასიისა და საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციების შექმნისათვის.

ასევე გულისყურით დაათვალიერეს პროპაგანდისტებმა რევოლუციის მუზეუმი, გაეცვნენ საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტთან არსებული ლ. კეცხოველის სახელობის პროპაგანდისტისა და აგიტატორის სახლის კაბინეტების მუშაობას, კიროვის რაიკომის პარტკაბინეტის გამოცდილებას პროპსემინარების და ჯგუფური კონსულტაციების მოწყობის საქმეში, დაათვალიერეს აბრეშუმის ფაბრიკა. აქ ესაუბრნენ საამქროს პარტორგებს. ნახეს თბილისის ახლად მოწყობილი ქუჩები, ახალი მშენებლობანი და ექსკურსიის დასასრულს, რაიონში დაბრუნების წინ, 8 მარტს საღამოთი ეწვივნენ „კომუნისტის" რედაქციას.

ამბროლაურის პროპაგანდისტებმა „კომუნისტის" რედაქტორთან გამართულ საუბარში აღფრთოვანება გამოსთქვეს იმ შთაბეჭდილებათა გამო, რომლებიც მიიღეს მათ თბილისში ყოფნის დროს.

— პროპაგანდისტული მუშაობის გაუმჯობესებული მეთოდით შეიარაღებული ვბრუნდებით რაიონში, — განაცხადა პროპაგანდისტმა ამხ. დვალმა. ახლა უფრო ფართოდ და საინტერესოდ გავაცნობ პარტწრის მსმენელთ ამხანაგ სტალინის მუშაობას პირველ რევოლუციაში, ახლა სრული წარმოდგენა მაქვს, — სად როგორ და რა გარემოში უხდებოდა მუშაობა ამხანაგ სტალინს, ჩვენ ვნახეთ გორში ის სახლი, სადაც დაიბადა და გაიზარდა დიდი ბელადი, სადაც ბავშვობა გაატარა დიდმა სტალინმა.

— მარად დაუვიწყარი იქნება ჩვენთვის ის, რაც თბილისში სამხატვრო გამოფენაზე ვნახე... სტალინი ბავშვობისას, სტალინი მიტინგზე, სტალინი საპყრობილიდან გამოქცევისას, სტალინი გლეხებთან... ყველა იგი მოცემულია დამაჯერებლად, — ლაპარაკობს კოლმეურნე აგიტატორი ამხ. ტყეშელაშვილი.

საქ. კ.პ. (ბ) ამბროლაურის რაიკომის კულტპროპგანყოფილების გამგემ ამხ. მრელაშვილმა განაცხადა: დაბრუნებისთანავე მოვაწყობთ ჩვენი რაიონის პროპაგანდისტთა რაიონულ თათბირს და გავუზიარებთ მათ პროპაგანდისტული მუშაობის ამ მოწინავე გამოცდილებას, რომელსაც თბილისში გავეცანით, რათა გამოიყენონ იგი პროპაგანდისტული მუშაობის გაუმჯობესებისათვის. ამხ. მრელაშვილმა წამოაყენა მთელი რიგი საკითხები რესპუბლიკური პრესის, კერძოდ, გაზ. „კომუნისტის" მხრით რაიონის პროპაგანდისტებისადმი დახმარების გაწევის შესახებ.

◇ ◇ ◇

აჭარის ექსპონატები საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენისათვის

ბათომი, 7 მარტი. (საქდესი). აჭარის 10 კოლმეურნეობამ და ამდენივე საბჭოთა მეურნეობამ 1937 წლის საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენისათვის მოამზადეს 1.982 სხვადასხვა სუბტროპიკული მცენარე: 371 ციტრუსოვანი, მეტწილად მანდარინისა, 46 სუბტროპიკული ხეხილი (ხურმა, ფეიხოა, მუშმულა), 484 ტექნიკური მცენარე (ტუნგო, ახალზელანდიური სელი, ლერწამი, ევკალიპტი და სხვ.) და 1.081 დეკორაციული მცენარე.

ახალშენის საბჭოთა მეურნეობამ გამოფენისათვის მოამზადა 54 მცენარე—ლიმონის, მანდარინის, ფორთოხლის, კინკანის, ნატსუმიკანისა და სხვა ხეხილი. ამავე საბჭოთა მეურნეობიდან გამოფენაზე გაიგზავნება დიდძალი ტექნიკური და სუბტროპიკული ხეხილი.

ვოროშილოვის სახელობის მილიონერი კოლმეურნეობა თავისი პლანტაციებიდან გამოფენაზე გზავნის საუკეთესო ეგზემპლარებს.

მცენარეების გარდა გამოფენისათვის შერჩეულია საუკეთესო ნაყოფები—ლიმონი, ფორთოხალი, ნატსუმიკანი, კინკანი და სხვ. შეგროვილი ნაყოფის ნაწილი სპეციალურად შეფუთული ინახება ბათომის მაცივარში, მეორე ნაწილი კი დატოვებულია ხეხილის შტოებზე. ეს მცენარეები ამ სახით, ნაყოფიანად გაიგზავნება გამოფენაზე.

◇ ◇ ◇

აგარის შაქრის ქარხანამ შეასრულა წლიური გეგმა

ხაშური, 7 მარტი (საქდესი). აგარის შაქრის ქარხანამ 3 მარტს შეასრულა ამ წლის გეგმა: მან გადაამუშავა მილიონ ცენტნერზე მეტი ჭარხალი და გამოუშვა 134.000 ცენტნერი შაქარი. ჭარხლის მარაგი წელს იმდენად დიდია, რომ იგი ჰყოფნის კიდევ თითქმის ერთი თვის სამუშაოდ. ერთი თვის განმავლობაში ქარხანა გადაამუშავებს დარჩენილ ჭარხალსა და გეგმის გადამეტებით გამოუშვებს დაახლოვებით 30 ათას ცენტნერ შაქარს.

◇

სეისმური სადგური ზუგდიდში

მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის გეოფიზიკური ინსტიტუტი მარტის შუა რიცხვებში ზუგდიდში ხსნის ახალ რეგიონალურ სეისმურ სადგურს (ასეთი სადგურები არსებობს გორსა და ონში). სადგური მომარაგებულია თბილისის ცენტრალური სეისმოგრაფიული სადგურის მიერ ზუსტად შემოწმებული ოპტიკური სეისმოგრაფებით.

ზუგდიდის რაისაბჭომ სადგურისათვის გამოჰყო სავსებით შესაფერი შენობა და მის მოწყობას დიდ დახმარებას უწევს (საქდესი).

ავტოკლუბი თბილისში

ჩვენი საავტომობილო ქარხნები ყოველდღიურად რამდენიმე ავტომანქანას უშვებენ. ავტომობილი ინდივიდუალურ სარგებლობაში—უკვე მასობრივი მოვლენა გახდა.

ავტოტრანსპორტის პარკის სწრაფ ზრდასთან ერთად იზრდება მოთხოვნილება ავტომობილის წამყვანთა (შოფერთა) სათანადო კადრებზეც. ცალკეულ ორგანიზაციებთან მოწყობილი ავტოკურსები ვერც ამართლებენ და ვერც აკმაყოფილებენ გაზრდილ მოთხოვნილებას. ამიტომ არის, რომ შოფერთა მასობრივად მომზადება დაეკისრა ფიზკულტურის კომიტეტებს ადგილებზე, რომლებმაც საბჭოთა კავშირის რამდენიმე ქალაქში მოაწყეს ავტოკლუბები და წარმოების მოუწყვეტლივ ამზადებენ ავტომოყვარულ შოფერებს.

თბილისის საბჭოს ფიზკულტურის კომიტეტმაც მოაწყო თბილისში ავტოკლუბი, რომელიც დღემდე ორგანიზაციულ პერიოდში იყო. კლუბში ამ დღეებში დაიწყება ნორმალური მეცადინეობა. თბილისის ავტოკლუბის განკარგულებაშია სათანადო შენობა პლეხანოვის პროსპექტზე—საკუთარი გარაჟით, და რამდენიმე სასწავლო ავტომანქანა.

ავტოკლუბში მიიღებიან საწარმო-დაწესებულებიდან მივლინებული ახალგაზრდები—წარმოების მოუწყვეტლივ. მეცადინეობა იწარმოებს საღამოს საათებში. სამეცადინო პერიოდი ორი თვეა, აქედან თეორიული კურსი ჩავლილი იქნება პირველ თვეს, მეორე თვეში კი 27-საათიანი პრაქტიკა იქნება ავტომანქანაზე (ავტომართვა). კურსდამთავრებულებს ენიჭებათ შოფერ-მოხალისის სახელწოდება. მათი განსხვავება ნამდვილი შოფრისაგან ისაა, რომ რადგან მათ თეორიული კურსი არ ექნებათ ჩაბარებული, დაქირავებით ვერ იმუშავებენ, ხოლო თუ მანქანა ექნებათ საკუთარ მფლობელობაში, ან დაწესებულებაში, შეუძლიანთ მისი მართვა.

საერთოდ კი ავტომოხალისეს უფლება ენიჭება ჩააბაროს (დამოუკიდებლად ავტოკლუბისა) ავტომობილის თეორიული კურსი და მიიღოს ნამდვილი შოფრის სახელწოდება.

ავტოკლუბთან ჩამოყალიბებული იქნება ტექნიკური, საკონსულტაციო და სხვ. კაბინეტები, სადაც ავტოკლუბის წევრები მიიღებენ ყოველგვარ კონსულტაციას და ტექნიკურ დახმარებას ყველა სისტემის მანქანის შესახებ.

გარდა ამისა, ავტოკლუბებთან ცალკე იქნება გამოყოფილი მოტოსექცია, სადაც მსმენელნი შეისწავლიან, როგორც ჩვენი ფირმების საბჭოთა სისტემის მოტოციკლეტების თეორიასა და მართვას, ისე საზღვარგარეთის სისტემის მოტოციკლეტებისას.

ავტოკლუბი თავისი წევრებისათვის გამოჰყოფს რამდენიმე ავტომანქანას, რომლებსაც ხელმისაწვდომ ფასებში სასპორტოდ მიაქირავებს მათ.

მივცეთ ჩვენს ქვეყანას 500—600 ათასი შოფერი-მოხალისე,—ასეთია ამოცანა, რომელიც მიმდინარე წელს უნდა შეასრულონ ავტოკლუბებმა.

თბილისის ავტოკლუბმა ამ დიდი ამოცანის შესრულებაში თავისი წვლილი უნდა შეიტანოს.

ხ. თ—ძე

◇

ხელოვნება

„სურამის ციხე" სოხუმის თეატრში

წარსულს ჩაბარდა ის დრო, როცა აკადემიური თეატრების დადგმას შეჩვეული მაყურებელი, თუ იგი პროვინციაში მოხვდებოდა, მაინცდამაინც დიდი ხალისით არ მიილტვოდა ადგილობრივი თეატრის სპექტაკლის სანახავად.

ამ სტრიქონების ავტორს ამას წინათ საშუალება ქონდა ენახა სოხუმის თეატრის ერთერთი დადგმა. მიდიოდა ცნობილი დრამა-ლეგენდა, გადამუშავებული დანიელ ჭონქაძის მოთხრობის მიხედვით ს. მთვარაძის მიერ, — „სურამის ციხე". ეს პიესა საკმაოდ პოპულარულია ჩვენში, განსაკუთრებით თბილისში, სადაც მას კიდევ უფრო გაუთქვა სახელი თბილისის მოზარდ მაყურებელთა თეატრის ხელმძღვანელის ა. თაყაიშვილის მშვენიერმა დადგმამ.

სოხუმის თეატრი „სურამის ციხეს" იძლევა ოდნავ განსხვავებული ინტერპრეტაციით, ვიდრე მოზარდ მაყურებელთა თეატრი, მაგრამ ამით პიესა არა თუ არ ზარალობს, არამედ უფრო მახვილი და იდეოლოგიურად მისაწვდომი ხდება მაყურებლისათვის. სპექტაკლი გაკეთებულია მონუმენტალური კლასიკური თეატრის სტილით და მასში ოსტატურადაა გამოყენებული ხალხური მელოდიებისა და ფოლკლორის საუკეთესო ნიმუშები. პიესის რეჟისორები (ვ. გარიკი და ვ. ალულიშვილი) ამ დადგმით ამჟღავნებენ არა მარტო თეატრალურ ალღოს და მდიდარ ფანტაზიას, არამედ იმდროინდელი ეპოქის ცოდნასა და მოვლენების მარქსისტულ-რეალისტურ გაგებასაც. დ. მირიანაშვილის ლამაზი დეკორატიული მხატვრობა კიდევ უფრო ხაზგასმით აღნიშნავს სურამის ციხის მშენებლობის დროის სოციალურ დამოკიდებულებათა მოტივებს.

კარგი შთაბეჭდილება დასტოვა პიესის შემსრულებელთა კოლექტივმა. არცერთი მონაწილე არ იყო აქ სუსტი, არცერთი როლი არ იყო მკრთალად გაკეთებული. დაუვიწყარ სახეებს იძლევიან: ვარდოსას—ნ. ჩიხლაძე, მაროსას—თ. ლოლაძე, დესპოტ მუხრან-ბატონისას—ვ. ალულიშვილი, მეფისას—ვ. დოლიძე. მოხდენილად თამაშობენ თავიანთ როლებს—დ. გეგენავა, ლ. ფოჩხუა, ი. წერეთელი, თ. კანდელაკი, ლ. ჭედია და სხვ.

ორიოდე სიტყვა „სურამის ციხის" მუსიკალურ გაფორმებაზე. პიესის პროლოგში და შემდეგ 9 სურათში მუსიკა მშვენიერია. ხალხური მელოდიების გამოყენებით პიესის დედააზრი და იდეოლოგიური მიზანსწრაფვა უფრო გასაგები ხდება მაყურებლისათვის, მაგრამ იგივე არ ითქმის საფინალო სცენის შესახებ. აქ გადაჭარბებული რიხით ისმის „სურამისა ციხეო, სურვილითა გნახეო" მოტივი. ეს გადაჭარბებული რიხი შთაბეჭდილებას აუფერულებს. იგივე უნდა ითქვას ცეკვის შესახებ. ცეკვა აქ ზედმეტია და შეიძლება მისი მოხსნა, რადგან ამით დადგმას არაფერი დაუშავდება.

სოხუმის თეატრს საუცხოოდ აუთვისებია ქართული საბჭოთა თეატრის დიდი კულტურა. ამით აიხსნება, რომ მის წარმოდგენებს მუდამ დიდძალი ხალხი ესწრება და მაყურებლებს უყვართ ეს თეატრი.

დ. ლ—ძე



საბჭოთა კავშირის სპორტის ოსტატის ამხ. ა. გოლდშტეინის ხელმძღვანელობით თბილისის სასპორტო საზოგადოება „დინამოში" მუშაობს ახალგაზრდა მოკრივეთა სკოლა (თბილისის სკოლების მოწაფეები). **სურათზე:** სკოლაში კარჯიშობის მომენტი.

ფოტო ლინგისა („სოიუზფოტოს" საქ. განყ.)

ჭადრაკი

ტურნირი თბილისის პირველობაზე



ტურნირის მონაწილე ა. ებრალიძე

○

გადადებული პარტიების დამთავრება

8 მარტს მოხდა გადადებული პარტიების დამთავრება.

ასოვსკიმ მოუგო ნერსესოვს, გოგლიძემ—ფირცხალავას, კასპარიანმა ებრალიძეს, ებრალიძემ—სერედას, მალუნცევმა—ვეიზერს.

გაუთამაშებლივ დასთმეს თავიანთი პარტიები სოროკინმა—ებრალიძესთან და კასპარიანმა—ვეიზერთან.

ყაიმით დასრულდა შიშოვ—სერედას და სოროკინ—ფირცხალავას პარტიები.

დანარჩენი გადადებული პარტიები არ გათამაშებულა.

○

მერვე ტურის შემდეგ ტურნირის მდგომარეობა ასეთია: კასპარიანი +6½, ფალავანდიშვილი და ებრალიძე +5, ფირცხალავა + 4½, ვეიზერი +4, (1 გად.), გოგლიძე +4, ასოვსკი +3½ (2 გად.), ხოტელაშვილი და სოროკინი +3½, შიშოვი +3 (2 გად.), სერედა +3, მალუნცევი +2½ (2 გად.), კანკავა +2½ და ნერსესოვი + 1½ (1 გად.).

○

დღეს, 10 მარტს გათამაშდება მორიგი მეცხრე ტური. თამაშობენ: კანკავა—ვეიზერი, ფირცხალავა—კასპარიანი, სერედა—სოროკინი, მალუნცევი—ებრალიძე, ფალავანდიშვილი—ხოტელაშვილი, ნერსესოვი—გოგლიძე და ასოვსკი—შიშოვი.

ა. მ.

◇

ატამი აყვავდა

სამტრედია, 9 მარტი (საქდესი). დადგა თბილი მზიანი დღეები. უკვე 20 დღეა რაც მინდვრად აყვავდა ია და სხვა ყვავილი. ბაღებში ჰყვავის ტყემალი და ატამი.

გაჩაღდა საგაზაფხულო მუშაობა ბოსტნებში.

◇

შემთხვევები

დაჭრა. ნ. ლ. დროზდოვმა (კალინინის ქ. 106), ჩხუბის დროს დანით დასჭრა გ. ტიკაჩევი (ლომოურის ქ. 1). ტიკაჩევი საავადმყოფოში მოათავსეს. დროზდოვი და მისი თანამონაწილე მ. კ. მაქსიმოვი (ბესიკის ქ. 16) დააპატიმრეს. გამოძიება სწარმოებს.

ბოროტმოქმედების ადგილას. მოქ. ა. მ. დარახველიძის ბინაში (ბრიგადირის ქ. 20) მორგებული გასაღებით შეიპარა ქურდი. მან შეაგროვა და უნდა წაეტანა ბინიდან დიდძალი საოჯახო ნივთები და ტანსაცმელი. მაგრამ ქურდი ბოროტმოქმედების ადგილას შეიპყრო მოქ. დარახველიძემ. ქურდი აღმოჩნდა ნ. ნ. სერგეევი.

მოჩხუბარი. 6 მარტს საღამოს ვ. შ. ქოიავამ (ბელინსკის ქ. 1), ქეიფის დროს ოთახში რევოლვერის სროლა ასტეხა. ქოიავა დააპატიმრეს. გამოირკვა, რომ ის უნებართვოდ ინახავდა რევოლვერს. ქოიავა სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცეს.

ა.-კ. რკინიგზაზე

რკინიგზის ლიანდაგზე გადასასვლელი ხიდი ქ. ჯულფაში

ქ. ჯულფაში [illegible] ქარხანასთან გაჩნდა კარგა მოზრდილი მუშათა ქალაქი 4 ათასამდე მცხოვრებით. ფეროქალაქის მოსახლეობას თითქმის ყოველდღე უხდება სიარული სარაიონო ცენტრში (ჯულფაში) სხვადასხვა საქმისათვის. აუცილებელი ხდება რკინიგზის ლიანდაგებზე გადავლა ქალაქის ბოლოში რაც სახიფათოა მატარებლების ინტენსიური მოძრაობის გამო.

საფრთხის თავიდან ასაცილებლად და მოქალაქეთათვის უშიშარი მიმოსვლის უზრუნველსაყოფად, ა.-კ. რკინიგზის სამმართველო ქ. ჯულფაში ქალაქის ბოლოს აგებს რკინიგზის ლიანდაგებზე გადასასვლელ ხიდს, რომლის სავალი ნაწილი ბეტონისა იქნება. ხიდის ღირებულება 54 ათასი მანეთია. მისი მშენებლობა 1 ივლისისათვის უნდა დამთავრდეს.

○

ბაქნები ლიანდაგებს შუა

მგზავრთა უკეთესი მომსახურების მიზნით წყალტუბოს და მეტეხის რკინიგზის სადგურებზე ლიანდაგებს შუა შენდება მატარებლებში მგზავრთა ჩასასხდომი ბაქნები—წყალტუბოში 217 და მეტეხში 127 მეტრის სიგრძისა.

◇

კრებები

—**განათლების მუშაკთა სახლში** (ფურცელაძის ქ. 3) 11 მარტს საღამოს 8 ს. პროფ. ს. ჯანაშია წაიკითხავს ლექციას: „საქართველო ადრინდელ ფეოდალურ ხანაში". დასწრება თავისუფალია.

— **თბილისის სახ. უნივერსიტეტში** (აუდ. 86) დღეს, საღამოს 9 ს. პროფ. გ. ნანეიშვილი წაიკითხავს საჯარო ლექციას თემაზე: „საარჩევნო სისტემა სტალინური კონსტიტუციის მიხედვით".

11 მარტს, საღამოს 8 ს. კ. კაპანელი წაიკითხავს საჯარო ლექციას თემაზე: „რუსთაველის ესთეტიკა".

— **განათლების მუშაკთა სახლში** დღეს, საღამოს 8 ს. ამხ. გ. ლომთათიძე მხარეთმცოდნეობის საზოგადოებაში წაიკითხავს მოხსენებას: „გურული ხალხური კალენდარი და საზომები". დასწრება თავისუფალია.

◇

პარტკალენდარი

ლ. კეცხოველის სახელობის პროპაგანდისტისა და აგიტატორის სახლში 10 მარტს

საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის კაბინეტი — კონსულტაცია თემაზე: „თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის ხასიათი და მამოძრავებელი ძალები". რუსულ და ქართულ ენაზე. საღამოს 7 საათზე.

ლენინიზმის კაბინეტი — კონსულტაცია თემაზე: „ლენინიზმის თეორია და მეთოდი". საღამოს 7 საათზე.

○

— **ორჯონიკიძის რაიკომის პარტკაბინეტში** დღეს, საღამოს 7 საათზე შესდგება:

1. პროფ. ათაბეგოვის მოხსენება თემაზე: „ჩინეთის ეკონომიური და პოლიტიკური მიმოხილვა". რუსულ ენაზე, აგიტატორებისათვის.
2. ჯგუფური კონსულტაცია თემაზე: „ბოლშევიკების პარტიის ბრძოლა „მუშათა ოპოზიციის" და „დემოკრატიული ცენტრალიზმის" წინააღმდეგ ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე გადასვლისას". ქართულ ენაზე, პროპაგანდისტებისათვის, კონსულტანტი — ამხ. მაჩიტაძე.
3. ჯგუფური კონსულტაცია თემაზე: „მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება გარდამავალი პერიოდის შესახებ". ქართულ ენაზე. პროფპოლიტსკოლების პროპაგანდისტებისა და აგიტატორებისათვის. კონსულტანტი — ამხ. კვიცარიძე.

— **სტალინის რაიკომის პარტგანათლების სახლში** დღეს, საღამოს 7 საათზე, პროპაგანდისტებისათვის გაიმართება ჯგუფური კონსულტაცია თემაზე: „პარტგანათლების წრეების მეცადინეობის მეთოდიკის შესახებ". კონსულტანტი — ამხ. რუხაძე.

○

— **საქ. კ.პ. (ბ) ლენინის რაიკომი** იუწყება, რომ პარტბილეთი № 1529991, გაცემული გიორგი სოლომონის-ძე არუთინოვის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

10 მარტს, საღამოს 7-საათზე საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის ლ. კეცხოველის სახელობის პროპაგანდისტისა და აგიტატორის სახლში ქალაქის პარტაქტივისათვის გაიმართება საქართველოს ა.ლ.კ.კ. ც. კ-ის მდივნის ამხ. **ა. მგელაძის** მოხსენება თემაზე: **„სტალინური კონსტიტუცია და საბჭოთა ახალგაზრდობა".**

შესვლა საშვები ბარათებით.

ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ლენინის ორდენოსანი ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი

10-III	ქეთო და კოტე
11-III	ტოსკა

დასაწყისი სრულ 8 საათზე.
ა ნ ო ნ ს ი: მზადდება ბალეტი „გედების ტბა" ახალი დადგმით.

ლენინის ორდენოსანი რუსთაველის თეატრი

10-III	პრემიერა ბ რ მ ა
11-III	ა ნ ზ ო რ

დასაწყისი საღ. 8 საათზე.

მარჯანიშვილის სახ. თეატრი

10-III წარ. № 120	ვერაგობა და სიყვარული
11-III წარ. № 121	ვერაგობა და სიყვარული

დღეს სახკინმრეწვის თეატრებში

ოქტომბერი 5, 7 40, 9-20 11	დადგმის მე 2 კვირა ოკუპაცია არზრუმს პრ. გარეშე სადა ხმ. გამოშვ „ამხ. სერგო ორჯონიკიძის ხსოვნას"
დამკვრელი 6 30, 8, 9-30, 11	ახალი ხმოვ. კომედია მოაგარაკენი
კომკავში-რელი 6 30,8 30,10-3	დადგმის მე-2 თვე ხმოვანი სურათი დ ა რ ი კ ო
რ. ლუქსემბ. 6,7-40 9-20 11	ხმ. ფილმი უმფროსი სპარტაკი
26 კომ. სახ 6,7-30.9,10-30	ხმოვ. ფილმი პოეტი და ურმობა
ახალი ამბები	ესპ. ამბები მე 14 გამოშვ. ხმ. ჟურნალები № 6 და 7.

საშა (ბონდო) ოჯახით იუწყება, რომ 12 მარტს, დღის 3 საათზე ვაკის ახალ სასაფლაოზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი თავის ძმის
ექიმ სოსო (სიმონი) ქოიავას
ხსოვნის აღსანიშნავად.

დღეს, 10 მარტს
ჭიდაობს
სამი წყვილი:
1. კლემენტი გული — ვეკუმოვზოვი.
2. ყარა მუსტაფა — კროტოვი.
3. ვილი ბური — ვერდი ნი. გადამწყვ. შეხვედრა.
აგრეთვე დიდი საცირკო პროგრამა
წარმ. დასაწყ. 8 ს. 30 წ.
ჭიდ.—10 ს. 30 წ.

სახცირკი
ტელ. 3-11 44
12 მარტს წარმოდგენა დღისით. დასაწ. 2 ს.

საქფილმეგთი თბილისში ხსნის
სტუდიას ესტრადის ქართული თეატრისათვის
კადრების მოსამზადებლად.
სტუდიაში მიიღებიან ორივე სქესის პირები არა უმეტეს 25 წლის ასაკისა, განათლებით არა ნაკლებ შვიდწლედის ფარგლებისა. რაიონებიდან ჩამოსულნი მეცადინეობის დროს უზრუნველყოფილი იქნებიან საერთო საცხოვრებლით და სტიპენდიით.
განცხადებანი მიღების შესახებ უნდა გაიგზავნოს თბილისში, საქფილმეგთი. პლეხანოვის პროსპ., № 123 (კანცელარია). მისაღები გამოცდების დღე ცალკე გამოცხადდება. 1028

25 მაისს
მეორე ხუთწლედის სესხის
(მეოთხე წლის გამოშვება)
პირველი ტირაჟი
სსრ კავშირის ფინანსთა სახ. კომისარიატისაგან
ვინაიდან სახელმწიფო სესხის მფლობელთა დიდმა უმრავლესობამ კონვერსიასთან დაკავშირებით უკვე გადასცვალა წინათ გამოშვებული საშინაო სახელმწიფო სესხთა ობლიგაციები „მეორე ხუთწლედის სესხის" (მეოთხე წლის გამოშვების) ობლიგაციებზე, აგრეთვე იმის გამო, რომ ამ სესხის ობლიგაციები 1936 წლის ხელმოწერით ყველა ხელისმომწერს დაურიგდება ა. წ. მაისის პირველ ნახევარში, მეორე ხუთწლედის სესხის (მეოთხე წლის გამოშვება) პირველი ტირაჟი დანიშნულია 1937 წლის 25 მაისისათვის მოსკოვში.
1031

თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის
საკვალიფიკაციო კომისია იუწყება,
რომ მის საჯარო სხდომებზე მოხდება დისერტაციების დაცვა მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად
1. 22 მარტს, დღის 12 საათზე—ქალაქის მეორე საავადმყოფოს აუდიტორიაში (კამოს, 103). პრივატ-დოცენტი ს. მ დ ი ვ ა ნ ი — „კახური და იმერული პასტერიზებული ყურძნის წვენის გავლენა კუჭის სეკრეციაზე". ოფიციალური ოპონენტები—პროფესორები ა. ალადაშვილი და შ. მიქელაძე.
2. 22 მარტს იქვე—ასისტენტი მ ე რ ი ლ ე ჟ ა ვ ა „კურორტ შამშოვის № 1 მინერალური წყლის გავლენა კუჭის სეკრეტორულ და მოტორულ ფუნქციაზე". ოფიციალური ოპონენტები—პროფესორები ი. კონიაშვილი და გ. ვაწაძე.
3. 23 მარტს, ნაშუადღევის 1 საათზე პათოლოგ-ანატომიურ ინსტიტუტის აუდიტორიაში (კამოს, 47). ასისტენტი გ. შ ე ნ გ ე ლ ა ი ა — „შიზოფრენიის დროს მემკვიდრეობის ხასიათის საკითხისათვის". ოფიციალური ოპონენტები—დოცენტები გოცირიძე და როსტომბეკოვი.
4. 23 მარტს იქვე—ასისტენტი ვ. კ უ ნ ჭ უ ლ ი ა — „ფიზკულტთერაპიის გავლენა ფილტვის ტუბერკულოზით დაავადებულთა ბიოდინამიკაზე". ოფიციალური ოპონენტები—პროფესორი ი. აბაკელია და დოც. გ. მღებრიშვილი.
5. 25 მარტს დღის 12 საათზე ქალაქის 1 საავადმყოფოში, შინაგან სნეულებათა კლინიკის აუდიტორიაში (წინანდალის, 9) ასისტენტი გ. ჩ ა რ ე ქ ი შ ვ ი ლ ი — „ვენური წნევის საკითხისათვის ზოგიერთი ინფექციური სნეულების დროს". ოფიციალური ოპონენტები—პროფ. შ. მიქელაძე და დოც. ნ. ანდრიაძე.
მსურველთ შეუძლიათ შრომებს გაეცნონ ყოველდღე 2—5 საათ. მედინსტიტუტის შენობაში სწავლულ მდივანთან.
თბ. სახ. სამედიცინო ინსტიტუტის საკვალიფიკაციო კომისია.
1032

თბილისის რკინიგზის საქარხნო-საფაბრიკო სკოლა გაზაფხულისათვის იღებს მოწაფეებს შემდეგ სპეციალობაზე:
1. ორთქლმავლის შემკეთებელი ზეინკლები
2. ვაგონების შემკეთებელი ზეინკლები.
3. დურგლები.
სკოლაში მიიღებიან ორივე სქესის მოზარდნი 16—20 წლამდე, არასრული საშუალო სკოლის 6—7 კლასის ცოდნით.
ყველა მიღებულნი უზრუნველყოფილი იქნებიან სტიპენდიით და ჩაირიცხებიან რკინიგზელთა კავშირის წევრად. მიღებულ მოწაფეთა 50% მოთავსებული იქნება საერთო საცხოვრებელში. მეცადინეობა დაიწყება ა/წ. 1/IV. განცხადებების მიღება სწარმოებს ყოველდღე, გარდა დასასვენებელი დღეებისა, 10-დან 15 ს-მდე.
მისამართი: საბჭოს ქუჩა, № 204 (ტრამ. № 15).
1030
სკოლის უფროსი წამალაშვილი.

სახ. ზოოტექნიკურ-სავეტერინარო ინსტიტუტის დირექცია
ამით აცხადებს, რომ 1937 წლის მარტის 20-ს საღამოს, 7 საათზე, ზოოტექნიკურ-სავეტერინარო ინსტიტუტის კლუბში, მარის ქ. № 15 (ტრამვაის მარშრუტი № 5 შესდგება საჯარო პაექრობა, ლექტორ თამარ გიორგის-ასულ ჯანდიერის მიერ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე:
„ფერმენტ პაპაინის გამოყენება ბაქტერიოლოგიურ პრაქტიკაში"
რეცენზენტი პროფ. ვ ო რ ო ნ ი ნ ი, ოფიციალური ოპონენტები პროფ. ქ. მოდებაძე, პროფ. ვლ. ღვალაძე.
16812 ზოოტექნიკურ-სავეტერინარო ინსტიტუტის დირექცია.

საქართველოს მსუბ. მრეწველობის სახ. კომისარიატის
საკერვალო ფაბრიკა № 6
თოდრიას ქ. № 22 (ყოფ. სომხის ბაზარი)
აცხადებს
შემკვეთელთა საყურადღებოდ, რომ ქვემოთ ჩამოთვლილი შეკვეთები—კაცისა და ქალის კოსტუმები და პალტოები, რომლებიც დამზადებული იყო 1-ლი მარტისთვის, მიუხედავად დანიშნული ვადებისა გამოსყიდულ უნდა იქნეს სამი დღის განმავლობაში დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა.
სამი დღის შემდეგ გამოუსყიდავი შეკვეთები გადაეცემა მკერავგასაღებას და არავითარი პრეტენზია არ მიიღება.
შეკვეთის №№
12, 16, 26, 29, 33, 41, 44, 48, 53, 56, 78, 85, 91 98, 101, 108, 116, 128, 147, 188, 0265, 425, 506, 536, 0548, 0565, 0576, 618, 640, 807, 851, 922, 995, 997, 1524, 1559, 1596, 1710, 1734, 1752, 1818, 1881, 1886, 1877, 1945, 2028, 2031, 2033, 2057, 2062, 2063, 2064, 2072, 2089, 2094, 2099, 2104, 2111, 2119, 2415, 2494, 2503, 2577, 2581, 2591, 2614, 2637, 2641, 2655, 2663, 2692, 3006, 3007, 3014, 3030, 3033, 3040, 4008, 4010, 4026, 4027, 4029, 4032, 4036, 4045, 4050, 4063, 4075, 4081, 4085, 4086, 4098, 4099, 4109, 4347, 4482, 4681, 4734, 4739, 4775, 4811, 4835, 4840, 5004, 6021, 6073, 6077, 6098, 6163, 6382, 6446, 6466, 6470, 6517, 6525, 6528, 6531, 6541, 6547, 6551, 6557, 6576, 6580, 6586, 6587, 6589, 7004, 7020, 7028, 7040, 7043, 7045, 7052, 7062, 7323, 7344, 7353, 7410, 7416, 7468, 7497, 7501, 7504, 7511, 7522, 7530, 7547, 7554, 7558, 7563, 7571, 7574, 7575, 7599, 7950, 8007, 8012, 8013, 8015, 8016, 8019, 8027, 8031, 8034, 8044, 8047, 8059, 8064, 8067, 8577, 8577, 8593, 9006, 9007, 9025, 9048, 9058, 9064, 9066, 9069, 9169, 9254, 9264, 9340, 9462, 9466, 9466, 9470, 9477, 9484, 9519, 9526, 9552, 10018, 10022. 10023, 10033, 10043, 10082, 10141, 10207, 10233, 10347, 10545, 10577, 13042, 13096, 13159, 13258, 13261, 13322, 14013, 20003, 20105. 20136, 20232, 20240, 20305, 20306, 20308, 20325, 20352, 20372, 20393, 20422, 20425.
შეკვეთები ფაბრიკის წერტში ავლაბარი-შაუმიანის მოედანი № 1.
11, 31, 34, 35, 38, 40, 49, 57, 63, 64, 1075, 1081, 1088, 1089, 1092, 1096, 1099, 1109, 1116, 1119, 2994, 3000, 3035, 3041, 3042.
შენიშვნა: დანარჩენი შეკვეთები—ხალათები, შარვლები და ქალის კაბები, რომლებიც მზად იყო 1-ლი მარტისათვის, უნდა გამოსყიდულ იქნას ზემოაღნიშნულ ვადაში.
1029

მისამართები: რედაქციის — თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16 გამომცემლობის — რუსთაველის პროსპექტი № 34, ტელეფონები: პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილეების: 3—63—03 და 3—08—67, სამდივნოსი: 3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის—3—57—61, სასოფლო-სამეურნეო—3—73—40, მშრომელთა წერილების—3—73—24, ღამის რედაქტორის—3—26—67, გამომცემლობის—3—51—81, სტამბის დირექტორის — 3—27—04. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.
ამხ. ხ. თოდრიას სახ. სტამბა „კომუნისტი". კამოს ქ. № 68.
მთავლიტის რწმუნებული ბ — 8225